ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 8

კვირა, 23 აპრილი

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. | 1877—1906 | ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

მ ო წ ო დ ე ბ ა

სამი თვეა უკვე, რაც საქართველო აუწერელს გაჭირვებაში ჩავარდა, რაც თავს შავი ყორანი დაჩხავის. ჯერ კიდევ გუშინ აყვავებული სოფლები, დაბები და ქალაქები მიწასთან არის გასწორებული, ნანგრევებად არის ნაქცევი და ამ ნანგრევებს შორის ათასობით ვხედავთ გულ-დაწყლულებულ ხალხს, რომელმაც დაჰკარგა **ყველაფერი—მახლობელთა სიცოცხლე**, კეთილდღეობა, მთელი თავისი ავლა-დიდება, მწარე ოფლითა და სისხლით შეძენილი. ყველა ამას ზედ ერთვის ერთი ახალი უბედურებაც—შიმშილი, რომელმაც ზოგიერთ ადგილას უკვე იჩინა თავი. არაფერი არ უშველის მიწასთან **გასწორებულ** ხალხს ერთის გარდა: საჭიროა დაუყოვნებელი დახმარება, საჭიროა **დღესვე საზოგადოებრივ ორგანიზაციის** მოწყობა შემწეობის აღმოსაჩენად. კმარა გულ-ცივობა, კმარა **გულ-გრილობა ტანჯულ** მოძმის წინაშე! უნდა მთელი ჩვენი ძალღონე მოვიკრიბოთ და ხალხს ამ საერთო გაჭირვების დროს გვერდში ამოვუდგეთ. თვითეული კაპეიკი ცოტად მაინც შეუმსუბუქებს ბედს ტანჯულთ და წამებულთ. მაშ შეერთდით კეთილ საქმისთვის და შეუდექით **მოძმის** ბედის შემსუბუქებას.

დაზარალებულთა დამხმარებელი კომიტეტი.

შემოწირულებას იღებენ: 1. კომიტეტის თავჯდომარე **უგან. კნ. თ. დ. გრუზინსკისა** („ორიანტის“ სასტუმროში); 2. თავმჯდომარის **ამხანაგი კნ. მ ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა** (ნიკოლაევის ქუჩა, საკუთარი სახლი) და **კომიტეტის** წევრები: 3. **ნ. ბ. ყიფიანი** (ვოენნაია, 10); 4. **გ. მ. ლასხიშვილი** („შრომის“ რედაქცია); 5. **ვ. ი. რცხილაძე** (კრუზენშტერნსკაია, 8) „კახეთის“ საზოგად. ერევნის მოედ.); 6. **ი. ხ. ღულაძე** (კიროჩნაია, 18) და **ხ. პ. ღლონტი** (საათავად-აზნაურო გიმნაზია).

კომიტეტი სთხოვს რედაქციებს თავიანთთანაც მიიღონ შემოწირულება კომიტეტისათვის გადასაცემად.

შემოწირულება მიიღება „ივერიის“ რედაქციაშიაც.

სარჩევი:—**არჩევნების წინ**. ფ. გოგიჩაიშვილისა.—**დემოკრატია და სოციალდემოკრატია**, რ. მ. ბლანკისა.—**ცეცხლითადა მახვილითა**, სვ. ყ—სა.—**ებრაელები ტყვეობაში** (ლექსი ტანისა), თარგმანი დ. თომაშვილისა.—**ოპერა ქართულად**, ი—სა.—**სწავლა-აღზრდის საქმე ამერიკაში**, ლუზოლასი.—**მიტინგები ინგლისში** (დასასრული) ს ქარ—ძესი.—**გალატაკების თეორია**. (დასასრული) ე. გ. კ—სა.

არჩევნების წინ

ქართველი ინტელიგენცია დღეს განიცდის მწვავედ და ცხადად ნაყოფს თავის მძინარობისა და უმოქმედობისას. ინტელიგენციის ხსენების დროს აქ ჩვენ სახეში გვყავს, რასაკვირველია, **დიდი** ნაწილი მხოლოდ იმ ინტელიგენციისა, რომელიც ასე თუ ისე იდეურად **მოქმედობდა** ჩვენს ცხოვრებაში და ცოტად თუ ბევრად მონაწილეობას იღებდა ჩვენს საზოგადოებრივ საქმეებში. თორემ სულით და ხელობით გაჩინოვნიკებული ინტელიგენცია, საზოგადოებრივ საქვეყნო საქმეებში ჩარევის მხრივ, თავიდანვე უმოქმედო იყო, ამგვარ ხასიათის საქმიანობის არავითარ მოთხოვნილებას არ გრძნობდა არასდროს და ამიტომ დღესაც თავის უმოქმედობის არავითარ ნაყოფს არ „განიცდის“, ვინაიდან მას თავის პირად ინტერესების გარეშე საქმიანობა არა სწამს და თავისი პირადი „მე“ ერთად-ერთ სათაყვანებელ საგნად აქვს გადაქცეული. არა, ჩვენ ამ ჯურის „ინტელიგენციას“ სრულიად არ ვეხებით, რადგან მისგან საქვეყნო თავიდანვე არა იყო რა მოსალოდნელი; სახეში გვყავს ცოტად თუ ბევრად იდეურ ინტელიგენციის უმრავლესობა, რომელიც მწერლობაშიაც მოქმედობდა და საზოგადოებრივ პრაქტიკულ საქმეებშიაც იღებდა მონაწილეობას აი, სწორედ ეს ინტელიგენცია ახლა უნდა გრძნობდეს და ხედავდეს კიდეც, თუ რაოდენ სუსტი და უენერგიო იყო დღემდის მისი საზოგადოებრივი საქმიანობა. ეს „იდეის კაცები“ უფრო კაბინეტებში ისხდნენ. და ხალხთან დაახლოვებას ერიდებოდნენ. ხალხთან დაახლოვებისგზას დაადგა ამ 15 წლის წინად მხოლოდ ერთი მცირე ჯგუფი ახალგაზდა ინტელიგენტთა, რომელთაც ამ მცირე ხნის განმავლობაში იმდენი ცნობიერება შეიტანეს ხალხში და იმდენი გავლენა მოიპოვეს, რომლის მსგავსი „კაბინეტის ინტელიგენტებს“ თავისთვის არც კი დასიზმრებიათ. იმ პატარა ჯგუფის მიერ დაწყებულმა მოქმედებამ, რომელსაც ეს „დინჯი კაცები“ იმ **დროს** ოცნებად ჩთვლიდენ და ყურადღების ღირსადაც კი არ მიიჩნდათ, შეჰქმნა ძლიერი პარტია,—სოციალდემოკრატია,—რომელიც დღეს, თავის ორგანიზაციითა და მომხრეთა პარტიულ გაწვრთნით, წინანდელ „ურწმუნოებსაც“ აკვირვებს და აოცებს.

ის, რაც ქართველ ინტელიგენციას ვერ დაანახვა, გარეშე ცხად მიზეზთაგან დამოუკიდებლად, საკუთარმა გონებამ და

ცხოვრების ფარულმა მოთხოვნილებამ, დაანახვა დღეს რუსეთის პოლიტიკურ რეჟიმის შერყევამ და სახელმწიფოებრივ წყობილების ცვლილებამ. თუ წინად ბევრი ქართველი პატრიოტი სამშობლოს დამღუპველად სთვლიდა „პარტიობას“ და პარტიების გასაჩენად მოქმედებას, დღეს თვითონვე ცდილობს სადმე პარტიაში თავის შეფარებას ან ახალ პარტიის შედგენას. გამოცხადდა თუ არა რუსეთში პირველ პარლამენტის მოწვევის წესი, ხელად გაჩნდა ჩვენშიაც რამდენიმე ახალი პარტია და გაჩაღდა აგიტაცია. ახლა ყველამ დაინახა, რომ პარტიების არსებობა აუცილებელი პირობაა პარლამენტარულ ცხოვრების და პოლიტიკურ ბრძოლისა. ქართველ ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა, როგორც იქმნა, ნაგვიანევად დაინახა, რომ ერის დაყოფვა პარტიებად საჭირო და აუცილებელია პოლიტიკურ ცხოვრებაში „იდეების“ პრაქტიკულ განსახორციელებლად.

რა თქმა უნდა, პარტიულ ნიადაგზე ნაგვიანევად ვინმეს გამოსვლა რაიმე იდეისა და აზრის გასავრცელებლად არ მოასწავებს უეჭველად, რომ თვით ის იდეა ან აზრი ყალბი და ხალხისთვის საზარალოა. რადგან რომელიმე ჯგუფი, ვითარცა პარტია, „გვიან“ გამოდის სამოქმედოდ, ამიტომ მისი პრინციპები ხალხის მომატყუებელი და დამღუპველიაო, — ასეთი ბავშვური დასკვნა შეჰფერის მხოლოდ ისეთ უსუსურებს, როგორიც „ელვა-ლამპარში“ მოვარჯიშე მწერლები ბრძანდებიან. სოციალიზმის ამ „მეცნიერ“ იდეოლოგებს სჯერათ, რომ სოციალ-პოლიტიკურ იდეების სიყალბე თუ სისწორე პარტიულ „право давности“-თ გამოიკვლევა, რომ ამა თუ იმ პარტიის იდეებს სისწორისა თუ უსწორობის „რეკომენდაციას“ უწევს თვით პარტიის არსებობის ხანგრძლივობა და ამიტომ გაუწითლებლად „ასწავლიან“ თავიანთ მკითხველებს: რადგან ყველა სხვა პარტიები „ჩვენს სოციალდემოკრატიაზე“ უფრო გვიან გამოვიდნენ სამოქმედოდ, ამიტომ მათი სახელმძღვანელო სოციალ-პოლიტიკური პრინციპები სისულელეა და არ ენდოთ, — არ დაიღუპოთო!..

ჩვენ კი, — ჩვენდა სავალალოდ და სოციალდემოკრატიულ ლანძღვა-გინებას მელექსიკონეთა გასახარებლად, — ასეთ „მეცნიერებას“ ვერ ვითვისებთ და იდეების სისწორეს ვიკვლევთ სხვა საბუთით და არა მათ მქადაგებელ პარტიის არსებობის „давность“-ით. ამიტომ გვგონია, რომ ზოგი რამ ხალხისთვის სასარგებლო შეიძლება მოიპოვებოდეს იმ პარტიების მოძღვრებაშიაც, რომელნიც ჩვენში სოციალდემოკრატიის შემდეგ წარმოსდგნენ და მოქმედება დაიწყეს. ჩვენი „ერესი“ და დანაშაული „ელვა-ლამპარის“ „მეცნიერების“ წინაშე იმდენად დიდია, რომ გვიძნელდება კიდეც მისი გამოთქმა. სახელდობრ, ჩვენ გვგონია, რომ იმ „სხვა“, არა სოციალდემოკრატიულ პარტიების პროგრამები „სარწმუნოების სიმვოლოს“ ზოგიერთ ისეთ ელემენტებს შეიცავს, რომელიც ახლანდელ პოლიტიკურ ვითარებაში და განსაკუთრებით ამ არჩევნების წინ, დიდ ყურადღების მისაქცევია ქართველ ამომრჩეველთა და საერთოდ ხალხის მხრივ. ხსენებულ საპროგრამო „ელემენტებში“ ყველაზე უფრო საყურადღებოა ერთი მთავარი პრინციპი, რომელიც, ჩვენის აზრით, დღეს პირველ ადგილს უნდა იქმნას წამოყენებული და მის თანახმად უნდა მოხდეს ჩვენში პარტიების შეერთება ახლანდელ არჩევნების დროს.

მაშ ვიკითხოთ: ვინ არიან ამჟამად საქართველოში მოქმედი პარტიები და რაში მდგომარეობს მოხსენებული „მთავარი პრინციპი?“

როგორც მკითხველს მოეხსენება, დღეს ჩვეში არსებობს ორი სოციალისტური პარტია: 1) სოციალდემოკრატიული და 2) ფედერალისტური და ოთხი — დემოკრატიული: 1) ქართული დემოკრატიული, 2) ქართული ავტონომისტ-კონსტ.-დემოკრატიული, 3) კონსტიტუციონალ-დემოკრატიული და 4) რადიკალური. მათ პროგრამებში გამოხატულ სოციალ-პოლიტიკურ მოთხოვნილებათა რადიკალიზმის მიხედვით, პირველი ადგილი უჭირავს ორსავე სოციალისტურ პარტიას, შემდეგ მოჰყვება: „ქართული დემოკრატიული,“ „რადიკალური,“ „ქართ.-ავტ.-კონსტ. დემოკრატიული“ და „ბოლოს კონსტ.-დემოკრატიული.“ ორ პარტიას: რადიკალურს, და კონსტ.-დემოკრატიულს მეტნაკლებად ტფილისის სომხობაში ჰყავს მომხრეები, ხოლო სხვა დანარჩენ პარტიების მომხრეები მხოლოდ ქართველებისაგან შესდგებიან, გარდა სოციალდემოკრატიისა, რომელსაც საქართველოს ფარგალში (და ჩვენ მხოლოდ საქართველოზე გვაქვს ლაპარაკი) მცხოვრებ არა ქართველ მუშებშიაც ჰყავს პარტიის წევრნი. მომხრეთა რაოდენობის მიხედვით, რამდენადაც კი შეიძლება ზოგად დაკვირვებაზე დამყარებით ვარაუდის გაწევა, პირველი ადგილი უჭირავს და ყველაზე მეტი ძალა აქვს სოციალ-დემოკრატიას, მეორე — ფედერალისტურს, შემდეგ მოდის: კონსტ. — დემოკრატიული (ტფილისში), ქართული დემოკრატიული, ქართული ავტ.-კონსტ.-დემოკრატიული და სულ ბოლოს რადიკალური. ქუთაისის გუბერნია ჯერ-ჯერობით სამი პარტიის სამოქმედო ასპარეზია: სოციალდემოკრატიის, ფედერალისტურის და ქართულ ავტ.-კონსტ. დემოკრატიულის, ხოლო ტფილისის გუბერნია — ყველასი, გარდა ქართვ. ავტონომისტ. კონსტ.-დემოკრატებისა.

ასეთია დღეს-დღეობით საქართველოში მომქმედ პარტიების სოციალ-პოლიტიკური ხასიათი, მათი შედარებითი ძალა და სამოქმედო რაიონების განაწილება. ახლანდელ არჩევნებში ყველა ესენი ჩაერევიან და კიდევაც უნდა ჩაერიონ, მხოლოდ როგორ და რა ნაირად, — აი საკითხი, რომელზედაც პასუხის მოცემა დღეს აუცილებლად საჭიროა. მაგრამ ეს პასუხი იქნება ოცნებური და არა რეალურ ცხოვრების ვითარებასთან შეთანხმებული, თუ არ გავითვალისწინეთ რუსეთის პირველ პარლამენტის წევრთა ძალის პარტიული განწყობილება, რომელიც უკვე დღეს ყველასთვის ცხადი და ადვილი დასანახავია.

საქართველოდან სათათბიროში გაგზავნილ შვიდ თუ რვა დეპუტატზე რომ იყოს დამოკიდებული ხვალვე მთელ რუსეთის იმპერიაში სოციალიზმის დამყარება, ჩვენ სულით და გულით მომხრე ვიქნებოდით საპარლამენტო დეპუტატებად საქართველოში მარტო სოციალდემოკრატების არჩევისა. მომხრე ვიქნებოდით, რადგან სოციალიზმის დამყარება მოასწავებს ყოველგვარ დამონავებისა და დაბეჩავების მოსპობას და სიზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლიანობის პრინციპის დამყარებას. მაგრამ, საუბედუროდ, სოციალიზმის განხორციელება რვა ქართველ დეპუტატზე არაა დამოკიდებული. რომ კიდეც წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი და ვიფიქროთ, რომ საკმარისია რუსეთის სათათბიროში სამას თუ ოთხას სოციალისტ დეპუტატის შესვლა, რათა სოციალიზმი „დეკრეტით“ განხორციელებულ იქმნას მთელ იმპერიაში, მაშინაც არ გვექნებოდა საფუძველი არჩევნების დროს მხოლოდ კანდიდატთა სოციალისტობით გვეხელმძღვანელნა. საფუძველი არ გვექნებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რუსეთის ახლანდელ პარლამენტში უმრავლესობის შემდგენელნი არიან არა სოციალისტები, არამედ უბრალო დემოკრატები, — „კადეტები“, რომლებმაც ასე სამაგალითოდ გაიმარჯვეს არჩევნებში. თი-

თოულ სოციალისტ დეპუტატს ამ პარლამენტში მნიშვნელობა ექნება არა როგორც სოციალისტს, არამედ როგორც დემოკრატს. თუ სათათბიროს დადგენილებასა და გადაწყვეტილებას საზოგადოდ რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა და გასავალი ექმნა, იმ შემთხვევაში მხოლოდ ის კანონ-პროექტები განხორციელდება, რომლებსაც მხარს დაუჭერს და მიიღებს პარლამენტის დემოკრატიის უმრავლესობა, ე. ი. „კადეტთა“ და სხვა დემოკრატთა პარტია. მაშასადამე, ქართველ დეპუტატის მოქმედებასაც რუსეთის სათათბიროში, სოციალ-პოლიტიკურის მხრივ, იმდენადვე ექმნება მნიშვნელობა, რამდენადაც „გი იმოქმედებს, როგორც დემოკრატი და არა როგორც სოციალისტი.

საქართველოში მომქმედი პარტიები ხომ ყველა მეტ ნაკლებად დემოკრატიულია და მაშ სულერთი ყოფილა, ვისაც ავირჩევთ, — საჭირო არაა თავი ვიმტრიოთ იმაზე, თუ რომელ პარტიის კაცები ავირჩიოთ და ვინ გავგზავნოთ სათათბიროშიო, —ალბად, გვეტყვის ვინმე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს სულერთი არ გახლავთ, და არ გახლავთ იმიტომ, რომ ჩვენ, ვითარცა დამოკიდებულ ეროვნებას, გვესაჭიროება არა მარტო ის სხვა და სხვა გვარი მოქალაქობრივი უფლება, რომელსაც ეწსრაფებიან რუსეთის დემოკრატები, არამედ ისეთი უფლებაც, რომელსაც ეროვნული ეწოდება და რომელიც აუცილებელ პირობას შეადგენს ჩვენი კულტურულ განვითარებისა და წარმოტებისათვის. დამოკიდებულ ეროვნებას მხოლოდ მაშინ შეეძლება ისარგებლოს საერთო მოქალაქობრივ უფლებებით, როცა მას საშუალება ექმნება მათ განსახორციელებლად. ამ საშუალებას კი წარმოადგენს ეროვნული თვითმართველობა ანუ პოლიტიკური ავტონომია, რომელიც, საერთო მოქალაქობრივ უფლებებით სარგებლობის მხრივ, თანასწორებს ყველა ეროვნებას და გარეშე დაბრკოლებათაგან თავისუფალ ნიადაგს აძლევს მათს ხალხოსნურ განვითარებას. რუს დემოკრატებს პირადად ეს საკითხი არ აინტერესებს, რადგან მათ რუსობისათვის არავინ სდევნის; რუსეთის ხალხს არ უკრძალავენ დედაენას, არ აძალებენ სასამართლოში, მაგალითად, პოლონურ ენაზე ლაპარაკს და, მაშასადამე, ამგვარ ხელოვნურ მიზეზის საშუალებით არ უხშობენ სასამართლოს კარებს. ახლაც, როცა საპარლამენტო რეჟიმი იწყება, სახელმწიფოს კანონები ასე თუ ისე უფრო მის მოთხოვნილებასთან იქმნება შეფარდებული, ვიდრე იმ დამოკიდებულ ერების ცხოვრებასთან, რომელნიც განშორებულნი არიან მისგან ენით, ისტორიით, ზნეჩვეულებით და საერთოდ კულტურით. და თანასწორობის პრინციპი, —პრინციპი დემოკრატიული, —არაა განხორციელებული, სანამ მოქალაქეთა უფლებრივი თანასწორობა მარტოოდენ ქაღალდზე დაწერილი ფრაზაა და მას არ აქვს, შესაფერ პოლიტიკურ წყობილების სახით, რეალური გარანტია ცხოვრებაში გასატარებლად.

აი, ეს არის ის „მთავარი პრინციპი“, რომელიც ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ და ვთქვით, რომ იგი დღეს, საპარლამენტო დეპუტატების არჩევის დროს, პირველ ადგილს უნდა იქმნას წამოყენებულიო. ჩვენ გვესაჭიროება რუსეთის სათათბიროში გასაგზავნად ისეთი დემოკრატები, რომელნიც, გარდა ზოგად სახალხო— დემოკრატიულ უფლებებისა, მოითხოვენ და ეცდებიან დაკანონებას ისეთ უფლებისას, რომელიც დამოკიდებულ ერს გაანთავისუფლებს ეროვნულ დამონავებისა და დაბეჩავებისაგან.

ამ მხრივ კი ჩვენში მომქმედი პარტიები ყველანი ერთნაირის ყურადღებით არ ეპყრობიან საგანს. ქართველი სოციალდემოკრატები, რომელნიც მთელ ქვეყნიერობას უპირობენ გაბედნიერებას, საქართველოსთვის დღეს მხოლოდ დემოკრატიულ ერობას იმეტებენ, ხოლო მთელ კავკასიას რაღაც გაურკვეველ „ოლქობრივ თვითმართველობის“ ფარგალში აქცევენ. კონსტიტ.-დემოკრატიული და რადიკალური პარტიები, ვითარცა უმეტესად სომხობის პარტიული ორგანიზაციები, საქართველოს ავტონომიას ალმაცერად უყურებენ და მის მომხრეებს შოვინისტ „ნაციონალისტებს“ ეძახიან. ცხადია ამიტომ, რომ იმ ქართულ დემოკრატიულმა პარტიებმა, რომელნიც თავიანთ პროგრამებში საანადო ყურადღებას აქცევენ ეროვნულ საკითხს და საქართველოს ავტონომიას ითხოვენ, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ სამივე აქ ნახსენებ პარტიას.

საქართველოს ავტონომიის მომხრენი არიან პარტიები: ფედერალისტური, ქართული ვტონ-.კონს.-დემოკრატიული და ქართული დემოკრატიული. ქუთაისის გუბერნიაში უკანასკნელ პარტიას, ვითარცა ახალს, შესამჩნევი ძალა ვერ ექმნება. იქ აუცილებლად უნდა შეერთდნენ ავტონომისტი “კადეტები„ და ფედერალისტები და შეერთებული იერიში უნდა მიიტანონ სოციალდემოკრატიაზე. ერთმანეთთან შეთანხმებით უნდა შეადგინონ თავიანთ კანდიდატების სია და ისევ შეთანხმებით ეცადნენ მათ გამარჯვებას არჩევნებში. ასევე უნდა შეერთდნენ ფედერალისტები და დემოკრატები ტფილისის გუბერნიაშიაც.

მხოლოდ ქალაქი ტფილისი არის ისეთ ვითარებაში, რომ აქ შეერთებულ ქართველ ფედერალისტებისა და დემოკრატების გამარჯვება ცოტათი საეჭვოა. აქ არის შედარებით ძლიერი კონსტ.-დემოკრატთა პარტია, რომელიც უმთავრესად სომხებისაგან შესდგება და საპარლამენტოდ თავისი კანდიდატები ჰყავს. აქვეა თავმოყრილი რუსის ჩანოვნიკობა, რომელსაც ვერაფრად მოსწონს ქართველების ავტონომია. აქვეა ამავე დროს ძლიერი სოციალდემოკრატიულ პირტიის ორგანიზაცია, რომელსაც არა ქართველებშიაც წევრები ბლომად ჰყავს. ამიტომ ჩვენა გვგონია, რომ, თუ ალღო არ გვატყუებს, სოციალდემოკრატიის კანდიდატს ტფილისში ყველა ქართულ პარტიაზე მეტი შანსი აქვს გამარჯვებისა. რა თქმა უნდა, ამ შანსის დაახლოვებით გამოკვლევა უფრო იმ გაერთიანებულ საარჩევნო ბიუროს შეუძლიან, რომელიც ქართულ ფედერალისტურ და დემოკრატიულ პარტიების წარმომადგენელთაგან არის შემდგარი. თუ სოციალდემოკრატიის გამარჯვების შანსი ტფილისში, ქართულ პარტიების დახმარებით, ცოტად მაინც არის მოსალოდნელი, მაშინ, რასაკვირველია, ორივე პარტია — ფედერალისტური და დემოკრატიული — ყოველ მიზეზს გარეშე ვალდებულია მის კანდიდატებს მისცეს ხმა, მოუპოვოს გამარჯვება სადეპუტატო კანდიდატად გამოსულ ქართველ სოციალდემოკრატს და ამგვარად გაიშავოს ტფილისის „კონსტიტუციონური დემოკრატია“. რაც უნდა დიდი ნაკლი ჰქონდეს სოციალდემოკრატიას თეორიასა და პრაქტიკაში ეროვნულ საკითხის შესახებ, მას მაინც, ტფილისის „კადეტებთან“ შედარებით, მეტი დოვლათი და სიკეთე სცხია ამ მხრივაც.

ფ. გოკიჩაიშვილი

სოციალდემოკრატია და დემოკრატია

(რ. მ. ბლანკის წერილი)

„სოციალური პარტია და პარტია დემოკრატიული, მუშათა პარტია და პარტია წვრილ-ბურჟუაზიული ახლა სოციალ-დემოკრატიულ პარტიად, ე. ი. წითელ პარტიად შესდგა“, —

ამ სიტყვებით ახასიათებდა კარლ მარქსი პირველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ევროპაში,—საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც 1848 წელს შეადგინეს ლუი ბლანმა და ლედრიუ როლლენმა.

ამ პარტიის არსებობა ხანგრძლივი არ იყო და მისი სოციალ-პოლიტიკური ხასიათი სავსებით ვერ გამოირკვა; ამიტომ არ შეიძლება მისი შედარება ახლანდელ, მტკიცე, გარკვეულ სოციალ დემოკრატიულ პარტიებთან, მაგ., გერმანიის სოციალ-დემოკრატიასთან. მხოლოდ ერთ რამეში განსაცვიფრებელია 1848 წ. საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე გერმანულ სოციალ-დემოკრატიასთან მსგავსება, იმაში, რაც ზემოდ მოყვანილ წინადადებაში აღნიშნული აქვს თვით კარლ მარქსს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთი მეოთხედი ნაწილი, სამ მილიონ ამომრჩეველებში სულ ცოტა 700—800 ათასი, ჩემის გამოანგარიშებით, ხალხის წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებს ეკუთვნის.

მართალია, ჩემს გამოანგარიშებას კრიტიკის თვალით შეხედა ისეთმა ყველასათვის ცნობილმა პირმა, როგორიც არის ავგუსტ ბებელი, რომელიც, თავის საკუთარ გამოანგარიშების და დაკვირვების მიხედვით, ფიქრობდა,—საარჩევნო საქმეში მონაწილეობის მიმღებ სოციალ-დემოკრატებში წვრილი ბურჟუაზია მხოლოდ ერთ მეექვსედ ნაწილს შეადგენს და დაახლოვებით 500 ათას ხმას უდრისო. მაგრამ ჩემი პასუხის შემდეგ ბებელმა თვითონვე შემცდარად სცნო თავისი გამოანგარიშება. მეორეს მხრივ ედუარდ ბერნშტეინი ფიქრობდა, რომ ჩემგან გამოანგარიშებული წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში ნამდვილზე ნაკლები არის. მაგრამ ჩვენთვის მთავარი მნიშვნელობა იმას როდი აქვს, რომ ჩემ გამოანგარიშებულ რიცხვს მოვუმატოთ ან მოვუკლოთ რამოდენიმე ასი ათასი, — თავი და თავი საქმე ის არის, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში აღვნიშნავთ მუშათა კლასის შეერთებას წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებთან და რომ ორივე ელემენტის მეტნაკლები რაოდენობა პარტიაში უდრის მათს რაოდენობას ცხოვრებაშიაც. ეს ფაქტი ყოველივე ეჭვს გარეშეა.

სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ პარტიების შესახებ ჯერ ჯერობით არ არსებობს სტატისტიკური გამოკვლევა, მხოლოდ ამ რამოდენიმე ხნის წინეთ რობერტ მიხელსმა იტალიის შესახებ სცადა ასეთივე გამოანგარიშება და გამოაცხადა, იქაურ სოციალ-დემოკრატიაში წერილი ბურჟუაზიული ელემენტები თითქმის უმეტესობასაც შეადგენენო. საფრანგეთშიაც უბრალო დაკვირვებაც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ წვრილ ბურჟუაზიას დიდი წილი უდევს იქაურ სოციალისტურ პარტიაში. კაუცკი ხომ საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიის შესახებ პირდაპირ აცხადებს, რომ მას საზოგადოდ წვრილ-ბურჟუაზიული ხასიათი აქვს. ასევე უეჭველია ეს მოვლენა ბელგიისა და შვეიცარიის შესახებ.

ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ წინ საზოგადო მოვლენა არის, რომელიც თეთრი ზოლივით ეჩჩნევა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პირტიას მის დასაწყისიდან ჩვენს დრომდის. ამას ხომ ასე გარკვევით აღნიშნავს თვით მარქსიც: „სოციალური პარტია და პარტია დემოკრატიული ახლა სოციალ-დემოკრატიულ პარტიად შესდგაო“.

მაგრამ რუსეთის სოციალ-დემოკრატია ან, უკეთ რომ ვთქვათ, მისი ის ნაწილი, რომელიც „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის“ სახელს ატარებს, საზოგადოდ მტრულის თვალით უყურებს მუშათა პარტიის შეერთებას ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან, ასე რომ საკმარისია ადამიანი ამ შეერთების დამცველად გამოვიდეს საჯაროდ, და ეს ახალი ცენზორები მას მუშათა მოძრაობის მტრად ასახელებენ. ხან-და-ხან რუსეთის მარქსმორწმუნე სოციალ-დემოკრატები ამ საკითხის შესახებ საზოგადო ფორმულების გამოთქმას კმარობენ და, მაგ., ამბობენ,—„ცალკე ვიართ, ერთად ვცემთო!“ თუმცა ამნაირ ფორმულებს ცხოვრების რეალურ მიმდინარეობაზე არავითარი გავლენა არა აქვს.

ასე იქცევიან იმისდა მიუხედავად, რომ თვით რუსეთის სოციალ-დემოკრატია წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან სრულებით არ არის თავისუფალი. ამ პარტიის მოწინავე და მეთაურ ნაწილში ეს ელემენტები უფრო მრავლადაც შეგვხდება, ვიდრე დასავლეთ ევროპის რომელიმე სხვა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. მაგრამ, შეიძლება, მათი ბურჟუაზიული შთამომავლობა რუსეთის სოციალ-დემოკრატების გრძნობასა და შეხედულებას აძლევს იმ სიმკაცრეს, შეურიგებლობას და უკიდურესობას, რომელიც არასოდეს არა აქვს მუშათა კლასის ნამდვილ წარმომადგენლებს. მ თ შეაქციეს გვერდი საკუთარ კლასს, ხელი აიღეს მასზე და ამიტომ იქ, თავის ზურგს უკან, ისინი მხოლოდ სიბნელეს ხედავენ, წყვდიადს, არარაობას, და პატივს სცემენ მხოლოდ მას, რაც მათ წინ დევს, — ეს უნდა იყოს მიზეზი იმ ცალმომხრივობისა, რომელიც თვით მუშა ხალხს საზოგადოდ არც კი ეჩჩნევა. ისინი იდეოლოგები არიან, მათ უფრო აწუხებს და აინტერესებს მათი შორეული იდეალი და არა ცხოვრების სინამდვილე; ისინი იდეებს უფრო მისდევენ, ვიდრე რეალურ საქმეს; ხშირად განყენებულ აზრს ემონებიან და ივიწყებენ ცხოვრებას, — ამიტომ ისინი ხშირად სრულებით არ წარმოადგენენ საქმის კაცებს, ცხოვრებას შორდებიან და კლასის წარმომადგენლობას ვერ ახერხებენ.

აი აქვე უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შეთანხმებას მუშათა მოძრაობის იდეოლოგები იმავე თვალით არ უყურებენ, როგორც თვით მუშა ხალხი. სწორედ ამიტომ არის, რომ მუშების დემოკრატია ხშირად მხოლოდ მაშინ შეკავშირებულა ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან, როდესაც მუშათა მოძრაობა განთავისუფლებულა ბურჟუაზიის წრ დან გამოსულ იდეოლოგების ზედმეტ გავლენისაგან, უფრო გარკვეული კლასობრივი ხასიათი მიუღია.

„სოციალ-დემოკრატის დღიურში“ პლეხანოვი ჩვენებურ „ნამდვილ“ სოციალ-დემოკრატებს ადარებს გერმანელ „ნამდვილ“ სოციალისტებს, რომლებიც წარსულ საუკუნის 40-იან წლებში იყვნენ და რომლებშიაც მუშები მხოლოდ უმცირესობას წარმოადგენდნენ. პლეხანოვის მხრივ ასეთი შედარება ნამეტან სისასტიკის მაჩვენებელია: მართლაც იგი ჩვენებურ მართლმორწმუნე მარქსისტებს იმავე თვალით უყურებს, როგორც იმ სოციალისტებს, რომელთაც მარქსი ისე დაბლა აყენებდა, რომ მათ გამო თავის პარტიისთვის არ უნდოდა დაერქმია სოციალისტური პარტიის სახელი და მას კომუნისტური პარტია დაარქვა. არ შეუშინდა იმას, რომ ამნაირ სახელით უტოპისტებს ემსგავსებოდა (მარქსი!), —ეს ერჩია „ნამდვილ სოციალისტების“ დამგვანებას! ..

მაგრამ უნდა აღიაროს ადამიანმა, რომ პლეხანოვის შედარება მხოლოდ საპოლემიკო ხერხი არ არის. გადიკითხეთ „კომუნისტურ მანიფესტში“, „გერმანიის რევოლუცია და კონტრ-რევოლუციაში“ „ნამდვილ სოციალისტების“ დახასიათება, წაიკითხეთ, რაც მარქსს და ენგელსს ამავე საგნის შესახებ სხვა თხზულებებში დაუწერიათ და დარწმუნდებით, რომ

ახლაც მარქსს ჩვენი დროის მართლმორწმუნე და „ნამდვილ“ სოციალ-დემოკრატების შესახებ რომ ეწერა, მათ შესახებაც იმასვე იტყოდა, რაც ახლა სთქვა რუსეთის მარქსისტებში ყველაზე უფრო გამოჩენილმა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელმა გ. ვ. პლეხანოვმა.

განსაკუთრებით სწორედ ამ კითხვაში, თუ რა დამოკიდებულება უნდა იქონიოს მუშათა პარტიამ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან, ჩვენებური „ნამდვილი“ სოციალ-დემოკრატები მეტად წააგავენ გერმანიის „ნამდვილ სოციალისტებს“ აი რა სწერია მათ შესახებ „კომუნისტურ მანიფესტში“:

„გერმანელ და განსაკუთრებით პრუსიელ პურჟუაზიის ფეოდალებთან და მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლამ, — ერთის სიტყვით, ლიბერალურმა მიმართულებამ, — თან და თან იმატა. ამნაირად „ნამდვილ“ სოციალისტებს დიდი ხნის ნანატრი შემთხვევა მიეცათ, — პოლიტიკურ მისწრაფების განხორციელების წინ წამოეყენებინათ სოციალისტური მოთხოვნილება, წყევლა-კრულვით მოეხსენებინათ ლიბერალიზმი, წარმოადგენლობითი წესწყობილება, ბურჟუაზიული კონკურენცია, ბურჟუაზიული თავისუფლება და თანასწორობა, და ხალხისათვის ეცადაგნათ, რომ იგი ამ ბურჟუაზიულ მოძრაობაში არაფერს არ მოიგებდა, — პირიქით, დაჭკარგავდა ყველაფერს. გერმანელი სოციალისტები ივიწყებდენ ამასობაში, რომ საფრანგეთიდან გადმოღებული კრიტიკა იქ, საფრანგეთში, უკვე დამყარებულ, უკვე შემოსულ საზოგადოებრივ წყობილებას ეხებოდა, ეხებოდა იქაურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პირობებს, იმ პირობებს, რომლის შემოღებისთვის გერმანიაში ბრძოლა ახლოლად ახალი დაწყებული იყო.

„გერმანელ თვითმპყრობელ მთავრობისთვის, მის მღვდლებისთვის, მასწავლებლებისთვის, მემამულეებისათვის და მოხელეებისთვის ასეთი სოციალიზმი კარგი იარაღი იყო საბრძოლველად ამხედრებულ ბურჟუაზიის გასაჩერებლად“

ასე იქცევოდა გერმანიაში, წარსულ საუკუნის 40-იან წლებში, იქაური „ნამდვილი“ სოციალისტური პარტია.

და აი როგორ ესმოდათ გერმანელ მუშებს თავიანთი მიზანი 1848 წლის რევოლუციის ხანაში:

„ჩვენ გერმანიაში მრავალნაირი მიზანი გვაქვს მისაღწევი. ერთის მხრით, მხარი უნდა მივცეთ ბურჟუაზიას მის ბრძოლაში არისტოკრატიასთან, საშუალო საუკუნეების წესებთან და მთავრობის ძალებთან. ვრცილი მრეწველები უნდა დავიცვათ კაპიტალის ბატონობისაგან... ჩვენ გვერდს ავუხვევთ უსაზღვრო მეოცნებეთა მაღალფარდოვან სიტყვებს, იმათ, ვინც მუდამ სახრჩობელას ბაწარს ეპოტინება იმიტომ, რომ თავი დასაკარგავი აღარ აქვთ“...

II

მუშათა მოძრაობა იზრდება, იზრდება მისი პოლიტიკური მოთხოვნილება და პოლიტიკური შეგნება, ამასთან ერთად იზრდება და ფეხს იკიდებს მასში იმის შეგნებაც, რომ რეაქციასთან ბრძოლისთვის ყველა დემოკრატიულ ელემენტების შეერთება არის საჭირო, — რომ მუშათა დემოკრატიამ ბურჟუაზიულ დამოკრატიასთან უნდა იქონიოს სატევ-საგერი კავშირი საერთო მტრების დასამარცხებლად. მუშათა კლასის კლასიურ შეგნების გარკვევა, მისი კლასობრივ ორგანიზაციის განვითარება სრულებით არ ეწინააღმდეგება ამ ევოლუციას, კიდეც ხელს უწყობს მას. როდესაც სოციალისტური მოძრაობა იზრდება და ამ მოძრაობას მკვიდრად აქვს გადგმული ფესვი მუშათა კლასში, მაშინ სრულებით აღარ არის საშიში, რომ ამ შეკავშირების გამო რამე დააკლდება კლასიურ შეგნებას, — თვით მუშა ხალხს, ნამდვილ მუშებს ამის შიში არ ექნებათ და ვერც ექმნებათ; მათ ვერ ექმნებათ იმისი შიში, რომ ოდესმე დაივიწყებენ თავის მდგომარეობას, თავისაჭიროებას ვერ დარნახავენ, — უღალატებენ თავის თავს, როდესაც რამე დამოკიდებულების დაჭერა მოუხდებათ სხვა კლასთან.

ამნაირ შიშს თავისი საფუძველი აქვს იმ ინტელიგენციაში, რომელიც სხვა კლასებიდან გამოვიდა და მუშებს მიეკედლა იდეოლოგიურ შეხედულებით. ეს პარტიული ინტელიგენცია ადვილად იცვლის ფერს, მას ადვილად იტაცებს სხვა და სხვა შეხედულება, მისთვის, შეიძლება, საჭიროც იყოს ასეთი პარტიული განცალკავება თვით მუშებისთვის კი ყველა ასეთ, ხელოვნურ, ზომების მიღება სწორედ რომ... საშიროა.

„ცხენზე შეჯდომის დროს დაეხმარეთ და ცხენზე შეჯდომის შემდეგ „უთქვენოდ გაივლის!“ ინტელიგენციამ მუშა ხალხს უნდა შეუწყოს ხელი ორგანიზაციის საქმეში და შემდეგ მასვე უნდა დაუთმოს საკუთარ კლასიურ ინტერესების დაცვა.

მაგრამ მუშათა კლასის ორგანიზაცია შეუძლებელია, რასაკვირველია, სარდაფებში, კონსპირატიულ სადგომებში და პატარ-პატარა წრეებში; იგი შესაძლო არის მხოლოდ იქ, სადაც მოძრაობა მზის სინათლეზეა გამოსული, სადაც დამყარებულია მოქალაქობრივი თავისუფლება. ამიტომ სოც.-დემოკრატიის პირველი მოვალეობა მუშათა კლასის წინაშე არის თვითმოქმედებისათვის საჭირო თავისუფლების მოპოვება, თვითგანვითარებისათვის და კლასიურ ორგანიზაციისათვის შესაფერ პირობების შექმნა. ასე ესმის თავისი დანიშნულება დასავლეთ ევროპის სოციალდემოკრატიას. ასე ესმოდათ თავიანთი დანიშნულებაპირველ სოციალ-დემოკრატებს კარლ-მარქსს და ფრიდრიხ ენგელსსაც. სოციალ-დემოკრატი ჯერ აუცილებლად დემოკრატია, ვინაიდან დემოკრატიის გარეშე სოციალიზმის გამარჯვება საფიქრებელიც არ არის. ამიტომ მარქსი 1848 წლის განმავლობაში სრულებითაც უარს ამბობდა სოციალიზმის პროპაგანდაზე, მან ამ წელს ამის გამო კიდეც დაშალა თავისი კომუნისტური კავშირი და მთელი ძალ-ღონე მოანდომა დემოკრატიას. ამიტომ იქცევა ასევე დასავლეთ ევროპის მთელი სოციალ-დემოკრატიაც ყოველთვის, როდესაც საქმე დემოკრტიულ წყობილების გაძლიერებას ეხება და როცა საჭიროა მისი დაცვა რეაქციისგან. ამნაირად დასავლეთ ევროპაში დაუახლოვდა ერთმანეთს და ზოგან შეერთდა კიდეც მუშათა პარტია და ბუჟუაზიული დემოკრატია, — ამისი მიზეზი იყო საერთო პოლიტიკური ინტერესი და მისწრაფება.

კლასიურ ორგანიზაციას და თვით კლასიურ ბრძოლასაც ემსახურებიან მუშათა პროფესიონალური კავშირები, — მუშათა პოლიტიკურ კავშირებს კი მიზნად აქვთ საერთო დემოკრატიულ მიზნების მიღწევა. ასეთი შრომის „განაწილება“ სასარგებლო და აუცილებელიც არის მუშათა კლასის პოლიტიკურ და სოციალურ მიზნების განსახორციელებლად, თვით საორგანიზაციო მაზნითაც საქმის ასე მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ განაწილებამ მუშათა მოძრაობა შესაფერ კალაპოტში ჩაყენა და ბოლო მოუღო ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზანთა, რეალურ და იდეალურ მისწრაფებათა, თეორიულ და პრაქტიკულ ტენდენციათა საშინელ არევ-დარევას.

ამ არევ-დარევის ხანას ჯერ კიდევ ვერ მოშორდა რუსეთის მუშათა მოძრაობა, პოლიტიკური ორგანიზაციები მხოლოდ ახლა ღა იწყებენ პროფესიონალურ ორგანიზაციებისაგან განცალკევებულ მოქმედებას, თუმცა ეს განცალკევება სწორედ

აქ არის უფრო სასურველი და საჭირო. რუს მუშებში იმდენად ძლიერია მიდრეკილება პროფესიონალურ ორგანიზაციებისადმი, რომ მათ გამო მზად არიან ხშირად ხელი აიღონ თავიანთ ძირითად ინტერესებზე და ჩამოშორდენ სოციალ დემოკრატიას, თუ იგი ნებას არ აძლევს მათ ეკონომიურ ნიადაგზე შეერთებისას. სოციალდემოკრატია იძულებულია დაუთმოს ამ მიდრეკილებას, თუ უნდა მუშათა პარტია იყოს. მეორეს მხრივ რუსეთის სოციალდემოკრატიამ თავისი სამოქმედო საზღვრები უნდა გააფართოვოს, თუ სურს შეირჩინოს პოლიტიკურ პარტიის გავლენა. ვილჰელმ ლიბკნეხტმა თუ სოქვა გერმანიის სოციალდემოკრატებზე, რომ იგინი ყოველთვის სექტანტებად დარჩებოდენ და არასოდეს არ შესდგებოდენ პოლიტიკურ პარტიად, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან არ შეერთებულიყვნენო,—რაღა უნდა სთქვას ადამიანმა რუსეთის სოციალდემოკრატებზე!

შევადაროთ მშრალი ციფრები და თვალი ავარიდოთ გერმანიის მუშათა პარტიის სხვა უპირატესობას.

გერმანიაში, უკანასკნელ აღწერით, ე. ი. 1895 წ. მრეწველობაში მომუშავე მუშათა რიცხვი იყო 5.955.711, მცხოვრებთა რიცხვი კი იყო 51.770,284.

რუსეთში, 1897 წლის აღწერით, სამრეწველო მუშათა რიცხვი იყო 2.390 776, მცხოვრებთა რაოდენობა კი უდრიდა 128.264.100. სამრწველო მუშების რიცხვს მივუმატოთ კიდევ 1, 095, 084 დღიური მუშა და 365, 013 რკინის გზის მუშა,—მაინც საერთო ჯამი რუსეთის მცხოვრებთა რაოდენობასთან და რუსეთის სივრცესთან შედარებით სრულებით უმნიშვნელოა... ამასთან ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ რუს მუშების უმეტესობა წვრილ მრეწველობაშია დაბანდული და სწორედ ამიტომ მზად არის მხარი დაუჭიროს ბურჟუაზიულ დემოკრატიას, როგორც ამას მოწმობს სამეცნიერო სოციალიზმის თეორია და ამტკიცებს დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ცხოვრება.

ვიწრო, მხოლოდ პოლიტიკური ტაქტიკა, რომელსაც რუსეთის სოციალდემოკრატია ადგა, აშორებს მას მუშათა დემოკრატიის დიდ უმეტესობას და ბურჟუაზიულ პარტიებს ხელში ჭგდებს ისევე, როგორც ამ პარტიის ტაქტიკამ ეკონომიურ კითხვებში მუშები პროვოკატორებისა და ავანტიურისტების ხელში ჩააგდო. სწორედ ამიტომ რუსეთის სოციალ დემოკრატია, რომელსაც შეეძლო მუშათა მოძრაობის და მთელ დემოკრატიის სათავეში დადგომა, ადვილად შეიძლება ამ მოძრაობას ხელში მოექცეს.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია ამნაირ მდგომარეობიდან გამოიყვანეს მისმა დიდებულმა ბელადებმა, ლიბკნეხტმა, ბებელმა და სხვ.,—ესენი სინამდვილეს არ გაურბოდენ და გულახდილად აცხადებდენ იმას, „რაც არის“.

აი რას ეუბნებოდა 1868 წ. ვილჰელმ ლიბკნეხტი თავის პარტიას, როდესაც გერმანიის სოციალდემოკრატია ყოყმანში იყო და გზას ირჩევდა:

„ჩვენ შეგვიძლია ხელი შევუშალოთ და ნამდვილადაც ხელს შევუშლით იმას, რომ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიაში არსებული კლასიური ბრძოლა რეაქციის სასარგებლო შეიქმნეს... უპირველესად ყოვლისა თავიდან უნდა მოვიშოროთ ხელოვნურად შექმნილი უნდობლობა ესრედ წოდებული „ბურჟუაზიულ დემოკრატიისადმი“... „ბურჟუაზიულ დემოკრატიის“ წინაალმდეგ მყვარალნი ან ნამეტანი გულუბრყვილო არიან, ან მათ პატიოსნება აკლიათ... რატომ არის სოციალ-დემოკრატია დღესაც კიდევ ასეთი სუსტი? მე კარგად ვიცი, რომ ამ პარტიის შესახებ ბევრს ჰყვირიან, მაგრამ საქმით კი არა გამოდის რა! მე კულისებს უკან ვდგევარ და სისულელედ და უზნეობადაც მიმაჩნია საზოგადოებისა და საკუთარ პარტიის წინაშე ტყუილის თქმა ჩვენი ძალღონის შესახებ. მაშ კიდევ ერთხელ, რატომ არის ჩვენი პარტია ამჟამად ასეთი სუსტი? რატომ არის, რომ მუშათა უმეტესობა განზე დგას?“

ლიბკნეტმა და მისმა ამხანაგებმა მოახერხეს და გაიტაცეს პარტია; მათ დაიყენეს იგი იმ გზაზე, რომლითაც პარტია ახლანდელ მდგომარეობამდის მივიდა და ჩვენი დროის ყველაზე უფრო ძლიერი პარტია შეიქმნა. იშოვნის თუ არა რუსეთის სოციალდემოკრატია ასეთსავე ბელადებს და მიჰყვება თუ არა იგი ამ ბელადების რჩევას? ამაზე არის დამოკიდებული მისი ბედი მრავალი წლის განმავლობაში.

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘᲗᲐ

(გაგრძელება)

სამხედრო დისციპლინა სასტიკად უკრძალავს სახოგადოდ და მათ უმეტეს გამარჯვებულ ჯარს, დაჭრილ ან მოკლულ ჯარის კაცის, დასარცხებულ მტრის გაძარცვას. ამას ჭქვიან "мародерство" და დამნაშავეს სამხედრო დროის წესებით ასამართლებენ. ქართველისა და დასავლეთ საქართველოს „დაბურობის“ დროს კი უფრო სუფრები, მიბრძოდ, აქეზებენ და ჯარის კაცი სრული თავისუფლება აქვთ მიტაცებული. ომის ველზე თუ შეამჩნიეს, რომ ჯარის კაცი მოკლულ მტერს ფეხსა ხდის და წაღების მაძებარა უნდა, სამართალში აძალევენ, აქ კი წაღების ტოტხლებსა ჭხდიდენ და ათიტერები ფეხშიშველა მაშინავრებს ეუბნებოდენ: წადით და მადლობა უთხარით ღმერთს, რომ ტყვე არ გაგაძარეს.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე ერთი თავადიშვილი, რომლის სოფელშიაც ეპზეკუტი იდგა, მიეიდა ათიტერთან და ეჩივლა: თქვენი კაზაკები გადმოვიდენ ჩემს ხიდის ბაღში და ხიდი ერთიანად გადაჭამესო. ათიტერი გეტყარდა: აი, ის უსინიდისოები, ის მამაძაღლები, მე ამათ ვუჩვენებ სეირს! დამშვიდდით, კნიაზო, მე ამათ ისე დავსჯი, რომ თქვენ სრულად დაკმაყოფილდებით. დამიძახეთ ჩქარა აქ ვახმისტრს,—გასცა სასტიკი ბრძ ნება ათიტერმა. აი ამ კნიაზის ბაღში ხიდი შეუჭამია კაზაკებს—უთხრა რიხიანის ხმით შეშფოთებულ ვახმისტრს,—წადი ამ საათში და ეგელის თითო ჩაის ჭიქა.., სასაქმებელი ზეთი დაალევინე, გასწი!—ვახმისტრი გატრიალდა, თავადი სახტად დარჩა.—დამშვიდდით, კნიაზო, თქვენი ხიდის ერთი კურკეც კი ადარ დარჩებათ მუცელში!—არ აკმარა დაცინვა დირსეულ ხელქვეითთა დირსეულმა უფროსმა შერცხვენილს მოაჩიოვრს.

ზოგიერთ ათიტერს რომ ჭკითხო, გიპასუხებენ: ვერაფერს ვერ ვაწყობთ, დისციპლინა ადარ არსებობს, ჯარის კაცები ადარ გვიჯერებენ, რაც უნდათ, ამას ჩადიანო. მაგრამ, ვინც ჩაჭკვირვებია უფროსების ჯარის კაცებთან უწინდელსა და დღევანდელს დამოკიდებულებას, ვისაც სმენია ათიტერების საუბარი სიფხიზლიან დროს და „რეჩები“ სიმთვრალის დროს, ის სხვანაირად ხსნის ამ კარემოებას. წინად, როდესაც რუსეთში და ჩვენშიც განმანთავისუფლებელ მოძრაობის ნასახიც არ იყო, ათიტერი ჯარის კაცს, როგორც ძაღლს ისე უტქერდა, მუდამ ტუქსავდა, აგინებდა, ლანძღავდა, სცემდა და, არამც თუ შეგობრულს, ადამიანურ დაბარაკსაც არ აძლევდა. ახლა კი უნდა ნახოთ ჯარის კაცთან მოლაპარაკე ათიტერი. ტუჩებზე ღიმილი უკრთის, ცდილობს თავის კიდობს მეტი სინაზე მისცეს, სიტყვას არ იტყვის, რომ „братець“ არ დაატანოს. სიფხიზლის დროს თავმოყრილ ჯარის კაცთ ათიტერი თავისებურად უხსნის, ვინ არიან რევოლუციონერები, უამბობს კან-

ზრახ გამოჭორილ ამბებს, თუ როგორ ეუერობიან რეფორმატორებ-ბი ჯარის კაცებს,—აწამებენ, ჭკლავენ, ასახიჩრებენ; ჩვენ არ გვზოგავენ, არც ჩვენ უნდა დავზოგოთო, ეუბნება ის ადელვებულის ხმით და მიზანს აღწევს,—აღელვებს და აქცევს მათ. სიმოგრავლის დროს ხომ მაკარ სიტუაციის დახარჯვა არ ერიდებიან და ბირდა-ბირ ეუბნებიან, რასთვის არიან გამოგზავნილი და რა მიზანი უდევთ წინა.

ხაშურში, სადგურის ბუფეტის გრძელს მაგიდასა ქეიფობ-დენ ოფიცრები; იქვე იმათთან, მხოლოდ ძირს, იატაკზე ფეხ-მო-კეცილები ისხდენ კაზაკები და უფროსებსა ჭაბაძვდ ენ. ორიეე ჯგუფს მოქეიფეებისას დვინო მოეკიდათ. დაიწყო დუსრულებელი „რეჩები“ და „ურას“ ძახილი. სხვათა შორის კაზაკთა ოფიცერი მ-კო ადგა და ჭიქით ხელში მიმართა იატაკზე მჯდომ კაზაკებს: ჩვენ გამოგვგზავნეს, მეორედ დავეუფროთ კავკასია ტეტხლითა და მა-ხვილითა. ჩვენი მოვალეობა ჩვენ წმინდად უნდა შეკასრულოთ, აი, როგორც ამ ჭიქა დვინოს, ისე დავლეგთ სისხლსაც,—нѣтъ, братцы“?!—დავლეგთ სისხლს! შესძახეს კაზაკებმა და ზეზე წამო-ცვივდენ.—არ დავზოგავთ არავის?—განაგრძო ეშხში შესულმა ოფიცერმა,—ჩვენ გავსწეფეტავთ მტერს ისე, რომ ერთი ღა დარ-ჩეს ტოტხალი ამბის წამდებად! не правда, батцы? —Правда, правда! უპასუხეს კაზაკებმა.

ამის შემდეგ ოფიცრები გაიძახიან, ჯარი ისეა გამხეტებული და გულმოსული რეფორმატორებზე, რომ მათი დაჭერა არ შე-გვიძლიანო! დისციპლინა ადარ არსებობსო! სიქმიდან კი ნათლად სჩანს, რომ ჯარის კაცები ასრულებენ უფროსების სურვილსა და მიზანს, ტტოლეფილებას და მისწრაფებას.

იგივე მ—კო ერთს მშვენიერ დღეს კაზაკებთან ერთად ქეიფობდა ხაშურში. მაგიდა ქუჩაში გამოეტანა და დრომ ახიარულად ატარებდა. ამ დროს ქუჩაში გამოიარა დატვირთული ურმით სოფლელმა, ხანში შესულმა კაცმა. მ—კოს რა ეწყინა ან რამ მოუარა, კაცმა არ იცის:—დაიჭერეთ აგ კაცი და აქ მოიეგანეთო, უბრძანა სასტიკის ხმით თანამხლებლებს. კაზაკები ეგნენ და თავ-ზარდაცემული კაცი ოფიცრს წარუდგინეს.—როგორ გაბედე, როდესაც მე ვქეიფობ, შენ ურმით აგერდზე გამიარეო?! დაუეკ-რა ოფიცერმა საბრალოს. გაფაფითრებული, გაკაკვეული კაცი იდგა და არ ესმოდა, რა დანაშაულობა ჩადინა ან რას უჯავრდებო-და ოფიცერი.—მიეეგანეთ და აი იმ ბოძზე გაკაკრეთ! მიუთითა ოფიცერმა კაზაკებს დობის ერთს ბოძზე. კაცი მიაკრეს.—და-ხვრიტეთ!!—დაიძახა ოფიცერმა. რამდენიმე კაზაკი დადგა შორა-ახლოს და თოფები მოიმარჯვეს.—დაუმიზნეთ! კაზაკებმა თოფები დაუმიზნეს. ამ სურათს ქუჩაში მოსიარულე ხალხი სულგანაბული უეურებდა. ტტხალ-მკვლარი კაცი შეეეურებდა თოფის ლულებს. ბოდოს ოფიცერმა ბრძანა, გაეთავისუფლებინათ კაცი. თურმე, ნუ იტეეთ, ოფიცერი... ხუმრობდა. მშვენიერი ხუმრობა! ამ გვარად ესპანიის ინკვიზიციასაც არ უხუმრია. სიკვდილით დასჯა იმითა ძნელი, რომ ჭკუათმეოფელს, გრძნობიერს ადამიანს გამოუტანდენ, უნდა მოკვდეო. რამდენიმე საათის განმავლობაში ის იტანჯება, გრძნობს, რომ უნდ მოკვდეს და სწორედ ეს გრძნობა მისი სა-კვდილი. როდესაც ბოძზე მიაკრავენ და თოფებს დაუმიზნებენ, ეს გრძნობა დიდდება და ტანჯვაც ემატება; შემდეგ, როდესაც თო-ფი იჭექებს და ტეეია მოხვდება, სიცოცხლე მისი და იმისთან ტან-ჯვაც ისპობა, ჭქრება. რადა დაკალო საბრალო კაცს ხუმარა ოფი-ცერმა? იმან ხომ არ იცოდა, რომ ოფიცერი ხუმრობის გუნებაზე იეო. ოფიცერმა და ჯარის კაცებმა ეკვალს კარგად დუმტკიცეს, რომ იმათ ხუმრობა არ იციან!

აი ასეთ მდგომარეობაში იმეოფება ამჟამად ქართველი ხალ-ხი. აი ასეთ რიგს თამაშობს „კავკასიის მეორედ დასუფრობად“ გამოგზავნილი ჯარი. სრული თვითნებობა, მოურიდებლობა, შეუ-ბრალებლობა, მხეცურ ინსტინქტების ადვილ-წარსნილობა, დაბრეუვე-ბა სუფევს ამჟამად ჩვენს ქვეყანაში.

ხაშურის რკინის გზის ბუფეტში რომ შეხედეთ, ნახავთ, რომ ჭერი მთლად დახვრეტილია ტეეებით. ეს დვინოთ შეზარხო-შებულ ოფიცრების ნამოქმედარია.

ალბალი, მთრახი და მეშტი ენერგიულად მუშაობს დაბა-სო-ფლებში ხაშურის ბუფეტში, ჩემს იქ ყოფნის დროს, შემო-ვიდა ორი ბოლიციის ბოქაული, ერთი ქარელისა, მეორეც ხაშურისა, და ერთიც კაზაკთა ოფიცერი. ისინი დაბრუნდენ სოფ. ცალისიდან, სადც ბ. გვერდწითელის მოკვლის გამო ეკუთვნეა იეო ჩაეენებული. მიუსხდენ მაგიდას, მოითხოვეს სა-სმელები და დაუპრაკი კაბებს. ოფიცერმა სთქვა: აი ისი დვიბა-რე, არა ტეტებოდენ. კარგი, მეოქი, მაშ, დავეძახე, ერთი ძალიან დინიერი კაზაკი მეკვეს; აბა, შენებურად, მეოქი! რომელსაც შემო-ჭკრა, ვერც ერთი ვერ გაუძაგრდა, ბირველ შემოკვრისთანავე ძირს ყარდებოდენ. აი, მესმის ამისთანა მეშტი! ხაშურის ბოქაულმა, გაეშვირა ამხანაგების თავისი მსხვილი, ტალანქი მეშტი და სთქვა, არც თუ მე მაქვს ნაკლები მეშტია! ქარელის ბოქაულს შერტყვა (ტანწვრილი კაცია), დაიხელა თავის წვრილ თითებზე და დანანებით წარმოსთქვა: მე ბატარა ხელი მაქვს, მაგრამ ძალიან მწარეა!

კომენტარიები რადა საჭიროა!

მეოთხე დღეს ხაშურში ბოვიდა ბოდბოდკ. ნაცვალოვი. ჯარმა მოითხოვა, ტეფილისში დაგვაბრუნეთო ხალხის თვალის წინ ჯარის კაცებმა დატვირთეს რამდენიმე ვაგონი ნაძარცვი საქონლით და ჯარი ტეფილისკენ წამოვიდა. ხაშურში არც ჯარის კაცი, არც ყანდარში ადარ დარჩენილა. 6 იანვარს მოვიდა ახალი რაზმი, ბოლკ ჩიქოვანის უფროსობით, რომელმაც დასტოვა ორი როტა ჯარის კაცი, ოვითონ კი დანარჩენი ჯარით იმერეთისკენ გაეგზავ-ნა. რაც წინად მოსულმა ჯარმა დაკალა ხაშურს, ამ ორმა როტამ შეესრულა. ამ ჯარს მეთაურობდენ ადგილობრივი ხელიგანები, დადიოდენ და იჭერდენ ბრალიანსა და უბრალოს, 10—15 კაცს ერთად იჭერდენ, ცემა-ტეტების შემდეგ გორსა და ტეფილისში ა-ტუმრებდენ.

სურამშიაც ბირველ იანვარს ავიდა ჯარი. გორაკები დაიჭერა და ასტანა სანშენული სრიალა. მცხოვრებთ ეგონათ, მტერი შემო-გვესია, ჩვენი მთლად ამოჟლეტ აუნდა და, ვინც მოასწრო, გაიქცა, ვინც არა და,—სახლებში ჩაიკეტა. ერთი როტა სალდათი იეო, დანარ-ჩენი—კაზაკები. ეკკლესიის მოედანზე შეაჭენეს ბურუდ ტანისა-მოსში გამოწეობილი ემაწვილი, გვარად ნანეტაშვილი. წასვიენენ საბრალოს, ჩაიგდეს შუაში და რამდენიმე წამის განმავლობაში სცემ-დენ თოფის კონდახებით, ფეხით, ხელით და შუბებით. ცხრალი-ვით იეო დახვრეტილი. ამ სცენას წაეწედ ერთი გლეხი, გვარად გელაშვილი, რომელიც ამ დროს სადგურზე მიდიოდა. რა დანახა გაშმაგებული კაზაკები, შეშინდა და გაიქცა. ნანეტაშვილის მკვლე-ლები მიუბრუნდენ გაქცეულს და რამდენიმე ტეეიით მიწაზე და-სცეს. შემდეგ ჯარი მოედო სურამს და თავის ბეგმის შესრულებას მიჭეო ხელი. გაძარცვეს რამდენიმე ოჯახი, დაამტვრიეს ეიფანისა და ხიდარბეგიშვილის სახლები. შემდეგ ეიფანისა და სამხარაძის (რაზმელი იეოო) სახლებს და მოასეეკეს (ანის თავად იეოო) დუქანს ცეცხლი მისცეს და მთლად გადაუბეგეს. ჯარის კაცები და კაზაკები გაშმაგებულნი დარბოდენ ოჯახიდან ოჯახში და, რასაც მოასწრობდენ ან ვინმე ქალს დაანახვადენ, არავერს და არავის არ ზოგავდენ. ერთს ოჯახში კაზაკებს დახვდათ ორი ბასთხოვა-რი ქალი. ქალებსა და კაზაკებს შორის გაიმართა საზარელი ხელ-ჩართული ბრძოლა. ერთს მათგანს შუბით ხელი გაუფეჭეს. ქალ-ების იდბალზე ამ დროს ქუჩაში მოდიოდა ოფიცერი, დაინახა ეს

სტენა და საბრალო ქალები ხელიდან გამოჰგლეჯა გამხეცებულ კაზაკებს.

ერთმა ქალმა, ე—ს ცოლმა, სურამში რომ ვერ ჭეშავა სამარ-თალი, ხაშურში ჩაიკრა და შესჩივლა ავიტრებს: ქმარი მანჯურიაში გამიგზავნეს, შიმშილით ვკვდებოდი, ახლა ესეც არ მაგმარეს, სალდათები შემომეტვივდენ, რაც რამ შებადა, წაიღეს და, უპატრონოდ დარჩენილს, სუსტ ქალს შეურცხეთო მომაყენესო. ავიტრებმა უპასუხეს: გვიჩვენე, ვინ იყო და დავსჯითო.—წადი და უჩვენე!

ჯარმა მთელი დღის განმავლობაში ძარცვა ოჯახები და მალაზიები და სალამოზე ხაშურს დაბრუნდა. შემეტეში მოქმედობდა და დღესაც მოქმედობს „мѣстная команда“; ძარცვა-გლეჯაში მას ეხმარებოდენ კაზაკები, რომლებიც დროგამოშვებით ოთვის ნებით, ქურდულად, ამოდიოდენ სურამში. ამ კამანდის სალდათებმა გადაუწყვიტეს მოსულ ჯარის კაცებისაც და კაზაკებისაც. ისინი სტანციაზე ეგულებოდენ, ვისაც რიგიანი მიტინგზე ულაპარაკია და მოძრაობაში რაიმე მონაწილეობა მიუღია და, ვისაც ჩაიგდებდენ ხელში, ლმერთს ადარ გაიხსენებდენ. რასაც ძარცვავდენ, ხომ ძარცვავდენ, რასაც არა და, უშმაგურად ჭეშეტეოდენ ხალხს. მიეადგენ რომელიმე ოჯახისა ან მალაზიის პატრონთან და ეტეოდენ: შენს სახლს (ან მალაზიას) გადაწვავ უპირობენ, თუ მოგვცემ რამეს, ჩვენ მოგვახერხებთ, რომ არ გადაგიწვანო. შეშინებული პატრონიც აძლევდა ხეთს, ათს, ოცს თუმანს და ამით ვითომდა იხსნიდა ქონებას.

ამ კამანდის სალდათების დღესაც დიდი შიშში ჭეშავთ მთელი სურამი. ამას წინად ერთი მთვრალი სალდათი კაჩერებულიეო ერთს სახლთან და დიდხანს ეტრიალებდა. ამ დროს გაიარეს თურმე ქუჩაში კაზაკებმა. მთვრალი სალდათი აეკივლა: კაზაკებო, მოდით აქ, აი, ამ სახლში „ბარიშნები“ დგინაზე, სულ მარტოკანი არიან, მოდით, მოდით ჩქარა! უმაწვილმა ქალებმა გაიგონეს ეს, საჩქაროდ ჩამოიკრეს კიბეზე და გაიქცნენ...

ეკეკლა ეს ცოტა იყო ხალხისთვის. „რევოლუციონურ“ გ'ხით ხალხის გაძარცვა სკამარისი არ იყო, მშვიდობიანის გზითაც უნდა გაეკეთებინა იგი. და .ა.ი ამ მიზნით შესდგა „სიწმინდის“ კომისია. სურამსა და ხაშურში პოლიციის ბოქაული კაზაკებით დადიოდა დუქნიდან დუქანში და ადგენდა ოქმებს, ვითომდა უსუფთაობისთვის. დუქანი არ გადარჩა, რომ 100 მან. 25 მანთამდე არ გადაეხდევინებინათ. ერთს დუქანში შეეიდენ, მიაარ-მოიარეს და ვერაფერი შარი ვერ უპოვეს, უკლავეერი რიგზე და სუფთად ჭქონდა პატრონს. ბოქაული დადგინდა, თავი გადაჭენ-გადმოაქნია და დუქნიდან გამოსვლა დაპირა, მაგრამ ერთს ალაგს ტორტმანობდა და ათვალიერებდა, ეძებდა. უცბად ფანჯარაში რგვალად მოხარშული მსუქანი დედალი შეამჩნია, კოხტად იდვა სუფთა თეფშზე და გამ-ვლელ-გამომვლელს მაკას უდგიძებდა. მაგრამ სანქმე ის არის, რად მიიქცია ბოქაულის ეურადღება ამ მსუქანმა დედალმა! პატრონის საუბედუროდ, დედალს ფეხები... შავი ჭქონდა.—ეს რა არის?—შეჭეკვირა განრისხებულმა ბოქაულმა.—ფეხები რად აქვს შავი?—და მიჭეო ხელი „უსუფთაობის გამო“ ოქმის წერას. პატრონი ბეგრს გაიძახოდა: ბატონო, ზოგიერთ ქათამს შავი ფეხები აქვს, კანი აქვს შავი, ხომ არ გავტეკვებდიო! მაგრამ ბოქაულმა თავისი გიტანა და დუქნის პატრონს ათი თუმანი ჯარიმა გადაახდევინა.

ეკეკლა ამას შემდეგი კარემოება კარგად ახასიათებს. აქამდის სალდათები სჯამდენ ხაზინიდან ნაბოძებ შავ ბურს, სოფლელები კი თავის საკუთრებას—თეთრს. ამ ჟამად დრო იცვალა: სალდათები შავ ბურს სოფლელებზე ჭეიდიან, თვითონ კი თეთრ ბურს მიირთმევენ...

სგ. ე—ნი.

(გაგრძელება იქნება).

ებრაელები ტყვეობაში

(ტანისა).

ჯალათთა ფეხ ქვეშ გართხმულვართ
მეტყველნი, უტყვად ქცეული,
და მის უწყალო ცემისგან
დაგვწყლულებია სხეული!..

დიდი ხანია, რაც ვყლაპავთ
მის ფერხთ-მტვერს, ცრემლით შეზელილს,
და ვითმენთ აუტანელსა
გულის ოხვრასა და ტკივილს...

ნეტა ვინ უთხრას მტარვალსა
პასუხი ჩვენის გულისა,
ბრძოლისთვის გამზადებულის
და მრავალ ჭირ ნახულისა?..

ვინ აიმაღლოს ნეტავ ხმა
ტანჯულ მოძმეთა ყოფაზე
და იმოქმედოს ჯალათის
გარყვნილ გულსა და გრძნობაზე?!.

ან დაარღვიოს იმისი
ჯოჯოხეთური განცხრომა,—
უთხრას, გადასცეს სასტიკი
ჩვენი მუქარა და წყრომა!..

ან შექმნას ძალა უძლევი,
ფოლად ნაწრთობი გზნებითა
და დროშა შურის ძიების
აღმართოს გამარჯვებითა!..

წყეულიმც იყოს ის წამი,
ბედი რომ დაგვაწყევინა
და გამარჯვებულ მტრისა ბრბომ
ჩვენ უკან დაგვახევინა!..

ბრძოლა გადასჭრა მპარავმა
თავისის მოღალატობით!..
თავ დადებულნი მებრძოლნი
ველსა ფარავდენ ასობით!..

დღეს გულს შხამ-გესლით გვიგმირავს,
ვით გველის ენა, თვით სევდა:
გვახსოვს, ბრბო მტრისა მხეცურად
გვჟლეტდა, კვალ და კვალ მოგვსდევდა!..

ეგ იყო ჩვენის შერცხვენის
დასაწყის-დასაბამათა
და იმ წამიდან სიცოცხლით
სიმწარემ დაგვაშამათა!..

ოჰ, ღმერთო! ხელთ რომ გიჭირავს
მსოფლიოს სფერო მთლიანი,
სად ხარ, სადა გაქვს გონგება,
ან რისხვა სამართლიანი?!

შენ ხომ ისმინე ვაება
შეურაცხყოფილ დედების?
ეხილე საშინელება
ბავშვთა, უმანკო მტრედების...

მტარვალს რომ დაბა-სოფელი
სულ ფერფლად გადუქცევია,
ნუ თუ სვეტებსა ცეცხლისას
შენთან არ მოუღწევია?!

სისხლმა წალეკა ქვეყანა,
ტურფად ნაკაზმი, ნაშენი!..

სადა ხარ, ერთხელ რომ სთქვი:
„კაინ, სად არის ძმა შენი“?..
კმარა დუმილი, სიჩუმე!
კმარა, აიღე მახვილი
და შეუერთე შენს რისხვას
ეს ჩვენი ამოძახილი!..
დასჭექ-დაგრგვინე, შემუსრე
ქურუმთა ბინა-ტაძარი
და აღვირ-წახსნილ თვით-ნებას
რისხვით დაეცი თავზარი!..
დღე ჩაუშხამე განცხრომის,
უქციე კუნაპეტადა,
რომ მზის წილ ბნელი თავს ადგეს
თვით ჯოჯოხეთის სვეტადა!..
მიწა უქციე ქვესკნელად,
სიცოცხლე საპყრობილედა
და ტანჯვა საიქიოსი
ცხოვრების სინამდვილედა!..

დ. ოჯიაშვილი.

ოპერა ქართულად

ვინც გულწრფელი მეგობარია ქართველის ხელოვნებისა და გულსაც ხელოვნება მხოლოდ გართობის წყაროდ არ მიაჩნია, არამედ ერის კულტურულად ამ მადლებელ, განმფაქიზებელ ნაკადულად, იმის ტკბილი კმაყოფილებით აივსებოდა სამშობლოთ სადამოს, როცა სახალხო თეატრში ისმენდა უკვდავ შარდ გუნოს „ფაუსტს“.

ქართველი მომღერალნი, ქართველთა ხორო, ქართველი ხელმძღვანელნი: ორკესტრისა და სცენისა!..

ვინც რა უნდა სთქვას და მა-კი ჩემსას ვიტყვი, რომ ეს მაჯვენა კულტურული გაშარჯვებაა ჩვენს ცხოვრებაში!.. გაშარჯვება, რომელიც ნაყოფიერი იქნება თავისის შედეგით...

ხუმრობა საქმეა?!. ჩვენ ჩვენის მცირედის ძალ-დონით მოვახერხეთ და წარმოვადგინეთ ეროვნულის მხრით რთული, თვით სცენის ნამდვილ მსახურთათვისაც-კი საძნელო ოპერა და მერე ისე, რომ მტრის ენაც-კი ავს ვერ იტყვის...

ზედაპირული ნურავის ეგონება ჩემი აღტაცინება. მას თავისი მაზეზი აქვს, უბრალო გაკვეცების გარეშე მოოფა.

მოელის საუკუნის განმავლობაში, რაც ჩვენ ბედს განაგებს სხვისი გული და სხვისი ხელი, ქართველთა ნიჭიერებამ ვერაფერ სფერაში ხელის შემწეობა თანაგრძნობა და გზა-ხსნილობა ვერა ჭეშა.

ეს იმიტომ მოხდა რომ ეველაფერში სხვისი შემეფერ ვეფაფით — სიგეთისაც და სიავისაც... ბერველი არავინ მოგვანიჭა და შეორის სიმწვავეს ხომ ღღესაც უხვად განვიცდით...

ასე რომ არა ეოფილიეო, მაშ რა ღმერთი გაგვაწერებოდა? ვიზე რა მწერნი და უბადრუკნი ვეფავით სულ-ხორცის ძალით?!..

მაგალითად...

სხვა რომ არა ვთქვათ-რა,—ეს სიმღერის ნიჭი ხომ გვაქვს, ამას არავინ არ უარჭეოფს. ბეგრისაგან კაბიგონია, მოელი ეგრეთა და მიფლია და ისეთი ხალხური სიმღერები, რაგორც ჩვენ, ქართველებს, მოგვეფოვებ, გარდა ესპანიელებისა და იტალიელებისა, სხვაგან არსად გამიგონია. მერე, ეს სიტეკვები ისეთ ბერთაგან მსმენია, რომელნიც ჩვენ კულტურულ ავალადებებს არამც თუ აზვალებენ, არამედ მეტად ზომიერად ათვსებენ.

ავიდოთ, თუ გნებავთ, ქართულ მუსიკა სთავისებურობა, რომელიც ამაში გამოიხატება, რომ არც ერთი ხალხური სიმღერა ცალხმოვანი არ არის, არამედ ეველა სამხმოვანია, რასაც ეშვიათად შეხვდებით სხვა, თვით უმაღლეს კულტურამდე მიღწეულ, ერთა შორის. ეს მადლი ამის მაგვნებელია, რომ ქართველი სიმღერა ბუნებრივად მდიდარია ხმათა მრავალფეროვნობით, რაც საეუძველია ჭრმონიისა.

როცა ვინმეს ჩვენი ერის სულის და გულის ნაღვაწის დაფოლება სწადიან, მაშინვე ისეთს შედარებას მმართავენ, რაც შეუფერებელია და შეუთანხმებელი სამართლიანობისა. მაგალითად, მუსიკაში დასასხელებს ისეთ ფორმებს, ან ისეთ ნაწარმოებს, ანაც ნაეფოვა მხოლოდ ხელოვნების მეცნიერებისა, ან კერძო კაცის შემოქმედობისა. რადა თქმა უნდა, ბერტინანსკის კონცერტები და ქართველი სასულიერო საკლობლები არ შეედარება ერთი მეორეს, რაგორადაც ვერ შეადარებთ ერთმანეთს რომელსაც ზღაპარს ან დეკენდას და ვინმე ბოეტს ამა თუ იმ ნაწარმოებს.

ბეგრს, ალბად, მოეხსენება გლინკას შესანიშნავი „კამარინსკაია“, რომელიც გენიოსურ ნაწარმოებად ითვლება. სათაკე რომ კაუსინჯოთ ამ ნაწარმოებს, გაკვირვებას მიეცემით, თუ რ. ზომამდე შეუძლიან ალძრას კერძო კაცის შემოქმედება თვით უბრალო საკანმაც-კი, თუ კი ეს საკანი მის გულს მოხვდება. „კამარინსკაის“ სული და გული მეტის-მეტად მარტივი, თითქმის გულგარეული მუსიკალური ფრაზა, მაგრამ ეროვნულის იერით მოსილი. სწორედ ამ მიზეზის გამო გლინკას ნაწს შიგ გულში მოხვდა ეს თავისუ ბურობა ბაწია და სადა სიმღერისა, მხოლოდ ხ ფხის გულიდან ამმოზიდულისა, და ბოეტის ალდომ, ფანტაზიამ დიდებულ სიმფონიურ სამკაულში გამოაწყო ეს თავისთავად უბრალო და ფარი ჭანგი.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენს კახურ „მრავალ-ჟამიერს“ „ბავრულოს“, ჩვენს „წმინდაო ღმერთს“, „შენ გიგალობს“ გამოუნდა თავისი გალინკა. .

ოცნება ნუ გეგონათ... ერს, რომელსაც თავის ისტორიაში ძალია, თანდათანობითის შესწორ-შეეფასეთ შეუქმნია ეს თავისთავად დიდებული ჭანგები, თავისთავად უკვე სიმფონიები, ალეკვეთილი რადა უნდა ჭქონდეს ნიჭი ხელოვნების ქურუმის დაბადების, რადგანაც ვარდი მხოლოდ სავარდეზედ ამოდის ..

მაგრამ ნიჭსაც თავისი შესაფერი ატმოსფერა უნდა, რომ განვითარდეს და ნაყოფი მოიტეს. და რაც ვამბობდი, ქართველად „ფაუსტის“ წარმოდგენ. ნაყოფიერი იქნება შეოჭი, სწორედ ეს კარეშაობა მქონდა თვალწინ.

გამოჩნდნენ ისეთი ბერნი, რომელთაც ბერდაბერ საქმეთ დაიწეეს და არა დაბარაკეთ და სწორედ ამიტომაც ალეკვეძრეს თავისლამი თანაგრძნობა. თვალით ნახული და ეურით ნასმენი საქმე ანდამტკიცეთ იზიდავს თავისაკენ უმრავლესობის გულის-ეურს, რაგორც შორიდან ბანის მოქმედისა; კერძო ბერთ-ი, მაახლოვებისთანვე, თვით საქმეში ითრევს, რაგორადაც მანქანის ძალუმად ამოძრავებული ბორბალი.

ბერეეული —უმრავლესობა – ეჩვეთან დათან უცნობ ხალს და, რაკი გეშის კიდებს, ჩვეულებას მოთხოვნილებად კალიქცევს... მეორენი-კი, ხელოვნებით წატეეებულნი, სწავლობენ, იძენენ ცოდნას, უკარს და მიისწრაფიან, რომ უბრალო სცენის მოეკარეობას გასცდნენ და სცენის ნამდვილ მუშაკად გარდაიქცნენ. რადა თქმა უნდა, ამასობაში იღვიძებს ორივე წრეში სურვილი, უცხოურ კულტურის ნაეოფს თავიანთიც გვერდში ამოეეენონ, ჩნდება მომღერალი, დოტბარი, მთხზველი და ამრიგად კეთდება საქმეენო საქმე.

სწორედ ამიტომ მეტად ბატეესადებია დ. ახლაკე დეკწყ-მოსილი ჩვენ შორის ის მცირე ჯგუფი, რომელმაც თავს იღვა ქართველად ოპერების მართვა.

რაც შეეხება თვით წარმოდგენას, უნდა ვთქვა, არ მოველოდი, რომ იგი ასე მწეობრი იქნებოდა

უპირატესობა, ჩემის აზრით, უნდა დაეთმოს ბ-ნ ზ. ფალიაშვილს, რომელიც დოტბარობდა ორკესტრს და რომლის შრომის ნაყოფია ქალთა და გაყოთ ხორო მუდამ ხმაშეწყობილი სიმღერა და ის გარემოება, რომ ხორო თითქმის არსად უსწორ-მასწორობა არ შემჩნეია. ეს კი იშკითი მოგდენაა, რადგანაც ორმოცდაათი ქალის და კაცის მოთვინიერება ეოველად ძნელი საქმეა, განსაკუთრებით, როცა მათ არ კანუცდაით დისციპლინა და მუსიკალური სკოლის კაკლენა. კერძოდ, უნდა აღვნიშნო მესამე მოქმედების მარში, როცა ერთსა და იმავე დროს მღერის ხორო და უკრავს ორი ორკესტრი—ოპერისა და სიმხედრო. ესეეე ითქმის ამავე მოქმედების ფინალის შესახებ.

ამას გარდა, ბ-ნმა ფალიაშვილმა რამდენჯერმე საკმაო უნარი გვიჩვენა იმისა, თუ როგორ ხელოვნურად არიგებდა უთანხმოებას, ორკესტრსა და სიმღერალთა შორის ჩამოყარდნილს, რაც ხშირი მოგდენაა თვით მაშინაც-კი, როცა დახელოვნებული არტისტნი არიან სცენაზე.

ქ-ნი ანდრეევსკისა-მიტკევიჩი ჩინებული მარგარიტაა, არამც თუ როგორც სცენის მოყვარე, არამედ ვით ნამდვილი მომღერალი. ხმა აქვს ფაქიზი, სიცოცხლის მეტეველი, ძლიერი, დიქცია შესანიშნავი სცენაზე თავისუფლად უჭირავს თავი და პარტიაც კარგად იცის. აღსანიშნავია ქ-ნ მიტკევიჩის სიმღერაში ჭანგი სარეკეში კეკლუცობისა (მეორე მოქმედება),—განსაკუთრებით დასასრული—და მთელი მეოთხე მოქმედების სასიმღერო ჭანგები.

ბ-ნ არჩეულს მაღალ ფარდებში ძლიერი, მწეკარე ხმა აქვს; დაბალ ფარდებში სუსტი და შუა ფარდებში მაბნელიდი, თითქოს ამოძახილს ზეგიდან ლეჩაქის მსგავსი რამ ქსოვილი აქვს კაფარებულია. კალო სიმღერის—ამტის-მეტად სასიამოვნო და ტკბილი. ფუსტის პარტია იცის მკაფიოდ და ფიტბარს თავალს არ აღვებს. კავატინაში მაღალი do დასძალა.

ბევრ დახელოვნებულ არტისტს მოუცდება სცენაზე ისე თავისუფლად თავის დაჭერა, მიხვრა-მოხვრა და კარეკანი კალმოცემა მეფისტოფელის როლისა, როგორც უველა ეს ეხერხება ბ-ნ აკასოვს. ბ-ნი აკასოვი ისე მოქმედობს სცენაზედ, თითქოს ძმა-ბიჭებ შორის იყოს და არა დიდი საზოგადოების წინაშე. მე-კი მგონია, ეს მეტის-მეტი კაბედულობა, ტოტა არ იყოს, ვნებს მის თამაშს, რადგანაც კალაჭარბებული ეგონება მაყურებელს. ან, იქნება, ასე ამიტომ მეჩვენა, რომ დანარჩენი მასი ამხანაგნი უფრო მოკრძალებულნი იყვნენ... სასიმღერო ჭანგები ბ-ნს აკასოვს კაზეპირებული აქვს და თვალ-ხუჭაის შეუძლიან სწორედ და შეუცდომლად იმღეროს. დიდი ხმა აქვს აკასოვს, მხოლოდ ნაკლებად კამოქნილი და კიდოიანი. ხშირად კაისმის სიმღერაში ეანერატორებური ამოძახილი. ადგილ-ადგილ ფრაზიროვკა შესაფერი აქვს, ადგილ ადგილ ძალიან ოხუნჯური.—მხოლოდ მეფისტოფელის შეუსაბამო. ვურჩევ, ბალდადა ოქრის კერძის შესახებ ნაკლების მიმოხვრით და სცენაზე რბენით სოქვას ხოლმე. სერენადის მეტი კონტრასტები უნდა, ვიდრე ბ-ნმა აკასოვმა გვიჩვენა. მე შეგატყე, რომ მას სარკაზმის გამოხატვა ეხერხება და ეს სერენადაში-კი ნაკლებად ეტეობოდა.

ბ-ნი კედეანიშვილი მუსიკალურის ადგილი უნაკლოდ არის დაჭილოგებული. საშუალო ფარდებში მშვენიერი ხმა აქვს, დაბალ და მაღალში მოსუსტა; დიქცია—მარტივი და მკაფიო. ჩინებულად კატარა მომღერალმა სიკვდილის სცენა. შენიშვნა: ბ-ნ კედეანიშვილს შეუთავსებია ერთი უხეირო ჩვეულება ზოგიერთ ბრეგინცალურ მომღერლისა: არიისკათვების შემდეგ უცბად მიტრიალდეს და კულისებისაკენ გასწიოს. ასეთი ხერხი დიდ ეფექტად მიაჩნიათ, რომლის საშუალებით იმედი აქვთ, ტაშს გამოიწვევენო. ბ-ნი კედეანიშვილიც სწორედ ასე მოიქცა ორიეკ შემთხვევაში, რაც დასრულა ვალენტინის დოცა. ვურჩევთ, ეს უნარი ცუდ სიზმარივით დავიწყოს.

სიქმე ძალიან მოიგებდა, რომ ზიბელის პარტია ქ-ნ ეორდანიასთვის გადაეცა და მართას პარტია ქ-ნ ალმასოვისათვის.

მადლობა რეჟისორს ბ-ნ ქართველიშვილს, რომლის უნარი და მეცადინეობა ძალიან ნაყოფიერი გამოდგა და ეველამ თავისი ადგილი კარგად იცოდა.

თარგმანი ადგილ-ადგილ მოხდენილია, ადგილ-ადგილ-კი მოიქვეითებს.

წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დასწრო. დარბაზს ს

აპეკუნობას, — ყველგან მარტო დადის, თვითონვე ირჩევს და უახლოვდება ამხანაგებს, შეცდომისათვის მშობლები თავის დღეში არ დასტუქსავენ, არამედ აუხსნიან მხოლოდ, რომ ვისაც, გაუგებრობის გამო, შეცდომა მოუვა ცხოვრებაში, თვითონვე არის ამის პასუხისმგებელიო. უბრალო მაგალითს მოგახსენებთ. რკინის გზის ვაგონში ბავშვი, დედის დარიგების მიუხედავად, ფანჯარას არ მოშორდა, — სულ ფანჯარასთან იდგა და გარედ იხედებოდა. ქარმა ქუდი მოსტაცა და ბავშვი ტირილს მოჰყვა. „ნუ სტირი, — უთხრა დედამ, — მარტო ერთი დოლარი დაგაკლდება ჯიბის ფულიდანო,“ ე. ი. დედამ აუხსნა, რომ მისმა შვილმა თავისი შეცდომა თვითონვე უნდა გაასწოროს და ამიტომ ის ერთი დოლარი, რომელიც მას უნდა მიეღო ჯიბის ფულად, ახლა ახალ ქუდის საყიდლად დაიხარჯებოდა და მას აღარ მიეცემოდა სახარჯოდ. ამერიკელი ბავშვი, თავისუფალი და ცხოვრებასთან დაახლოვებული, ძალიან ადრე იძენს გამოცდილებას. ოჯახში მუდამ ესმის ლაპარაკი შრომის სიყვარულზე, სიცრუის სიძულვილზე, სარწმუნოების პატივისცემაზე, მტკიცე ხასიათისა და მოქმედებაში პირად თაოსნობის ქება-დიდებაზე, და ბავშვიც, ამრიგად, ძალიან მალე დარბაისლდება, ხდება ენერგიული და თავის სიტყვის აღმსრულებელი.

სასწავლო საქმის გამგეობას სკოლებში მთავრობა სრულიად არ ეხება. თითოეულ შტატსა და ქალაქს თავისი გამგეობა ჰყავს. ყველა მოქალაქეებს — როგორც მამაკაცებს, ისე ქალებსაც — უფლება აქვთ გამგეობის წევრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ და თვითონაც არჩეული იქმნენ. ამის გამო საზოგადოება და სასწავლებელი ერთმანეთთან დაახლოვებულია და მასწავლებელსა და მოწაფეებს შორის კარგი განწყობილება მყარდება. სასწავლებელი — შეიძლება ვთქვათ — იგივე ოჯახია, მხოლოდ — უფრო დიდი, მრავალ-წევრიანი. სასწავლებლის შენობა გარედან და შიგნიდანაც უფრო ოჯახურ სახლს წაგავს და არა ყაზარმას, რომელიც ნორჩ არსებათა გულის გამწყალებელია. ქალები და ვაჟები ერთად სწავლობენ. მასწავლებლებად უფრო ხშირად ქალები არიან და ბავშვები მასწავლებელ ქალს ეჩვევიან, როგორც დედას ან დას. დასჯა და დაჯილდოება სრულიად არ არსებობს, — ბავშვს უცხადებენ სრულს ნდობას, აძლევენ რჩევას, დარიგებას და მაგალითს თვითმოქმედებისა და ხასიათის სიმტკიცისას; უნერგავენ მოვალეობის შეგნებას, სიტყვის შესრულების ვალდებულობას, სიმართლის სიყვარულს, ამხანაგურ განწყობილების დაფასებას, თავისუფალ დროის ნაყოფიერად მოხმარების საჭიროებას, მშობლების პატივისცემას. ამასთანავე ცდილობენ განუვითარონ კონკრეტულ მაგალითების საშუალებით მამულიშვილური გრძნობაც, რისთვისაც ასწავლიან სამშობლოს ისტორიას, გეოგრაფიას და გამოჩენილ კაცთა ბიოგრაფიას.

ფიზიკურ აღზრდას შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამერიკელები. სხეულის ვარჯიშობა ყველა სკოლებში არ არის მიღებული და სადაც არის, იქაც სისტემატიურად არ სწარმოებს.

სასწავლო პროგრამა მოკლეა და მოსწავლეთათვის უფრო პრაქტიკულ ცოდნის მიცემა აქვს საფუძვლად დადებული. რასაც ასწავლიან, — ასწავლიან დაწვრილებით და მტკიცედ. გემოვნების განვითარებასაც ნაკლების ყურადღებით ეპყრობიან, ოღონდ მოსწავლეს პრაქტიკული ცოდნა შესძინონ. ხატვის დროს მოსწავლეებს ნიმუშებად აძლევენ მხოლოდ იმ საგნებს, რომლებსაც ცხოვრებაში ხშირად ხედავენ. მოწაფე ისწავლის თუ არა წერა-კითხვას და ანგარიშს, ცდილობენ ასწავლონ მოკლედ გამოხატვა აზრისა. პრაქტიკულ ცოდნას ისე დიდად აფასებენ ამერიკელები, რომ სუფთა წერასა და ლამაზ ხელსაც დიდ ყურადღებას აქცევენ სკოლებში, რათა მოსწავლე, რომ დასჭირდეს, გადამწერლადაც კი გამოდგეს ცხოვრებაში.

14 წლის ყმაწვილი ათავებს დაბალ სასწავლებელს და გადადის საშუალოში. აქ ის სწავლას ათავებს 3—4 წელიწადს და შემდეგ შედის უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტი ამერიკაში ავტონომიური დაწესებულებაა და ნივთიერადაც კი დამოუკიდებელია მთავრობისაგან. თითოეულ უნივერსიტეტს აქვს საკუთარი თანხა, რომელიც შეწირულია სხვა და სხვა მდიდარ პირებისაგან და რომლითაც წასწავლებელი უძღვება ყველა თავის საჭიროებას. სასწავლო საშუალებათა მხრივ თითოეული უნივერსიტეტი მდიდრულადაა მოწყობილი, — აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, სხვადასხვაგვარი კოლექციები, ლაბორატორია, მუზეუმი და სხვა. უნივერსიტეტშივეა მოთავსებული ეკკლესია, თეატრი, საკონცერტო დარბაზი, სტუდენტებისთვის ფართო და ლამაზი აუდიტორიები.

უნივერსიტეტშიაც მოსწავლეთა ზნეობრივ მხარეს დიდ ყურადღებას აქცევენ და იმ სტუდენტებს, რომელთაც უზნეობას ან სიზარმაცეს შეამჩნევენ, უნივერსიტეტიდან სამუდამოდ ითხოვენ. მაგრამ ასეთ სასტიკ ღონისძიების ხმარება იშვიათად არის საჭირო, რადგან ამერიკის სტუდენტობაში საზოგადოდ ზნეობა მტკიცედ არის დაცული. იშვიათია მათში ქაღალდის თამაში, ლოთობა და სხვა ამგვარი ჩვეულება.

ამერიკელი პროფესორი სტუდენტებისთვის უფრო ხელმძღვანელი და ამხანაგია სწავლაში, ვიდრე მასწავლებელი და ავტორიტეტი. თავის ლექციებით პროფესორი ცდილობს მხოლოდ, უფრო საფუძვლიან სწავლის შეძენის სურვილი გაუღვიძოს თავის მსმენელებს. 3—4 წლის შემდეგ სტუდენტი ასრულებს საუნივერსიტეტო სწავლას და დიპლომსაც იღებს. სპეციალური გამოცდა არაა დაწესებული, მხოლოდ მეცნიერულ ხარისხის მისაღებად კი, რაც კიდევ 3—4 წლის სწავლის შემდეგ არის შესაძლებელი, საჭიროა სიტყვიერი გამოცდა და თხზულების დაწერაც.

ამერიკაში ქალებსაც სწორედ ისევე ასწავლიან და ზრდიან, როგორც ვაჟებს. ქალ-ვაჟნი ერთსა და იმავე სასწავლებელში სწავლობენ. ხშირად ნახავთ ამ სასწავლებლებში მოსწავლე ქალისაგან გაკეთებულ ხის ავეჯს და ვაჟისაგან შეკერილ თეთრეულს. ქალების ამნაირ „მამაკაცურ“ აღზრდის შესახებ ერთ დროს დიდი მითქმა-მოთქმა იყო, მაგრამ ამერიკელები ბოლოს მაინც იმ აზრს დაადგნენ, რომ ამგვარ აღზრდით ქალის ბუნებას სრულებით არავითარი ზიანი არ ეძლევა, ხოლო ორივე სქესის ერთ სასწავლებელში სწავლებას ვაჟებზე გამასპეტაკებელი ზნეობრივი გავლენა აქვს. ამერიკაში არის ქალების სასწავლებლებიც, მაგრამ სასწავლო პროგრამა აქაც ისეთივეა, როგორც იმ სკოლებში, სადაც ორივე სქესის მოწაფეები ერთად სწავლობენ. არ არის არც ერთი დარგი ცოდნისა, რომელსაც ამერიკის სასწავლებლებში ვაჟებს ასწავლიდნენ და ქალებს კი არა. ამიტომ ამერიკელმა ქალმა იცის ყველაფერი ის, რაც იცის იმისმა მამამ, ძმამ, ქმარმა.

თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ამერიკული სწავლა-აღზრდა არ არის სრული და უნაკლულო. მაგალითად, დაბალსა, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელს შორის არ არის დაცული თანდათანობა. 14 წლამდის ასწავლიან მხოლოდ წერა-კითხვას, ანგარიშს და ისტორიას, საშუალო სას-

წავლებლებში კი ერთბაშად უმატებენ საგნების რიცხვს. ასე შეძენილი ცოდნა არ არის მკვიდრი, მოწაფე ძალაუნებურად ირჩევს ერთ-ერთ მისთვის უფრო საინტერესო საგანს და ამის გამო ნაადრევ სპეციალიზაციის მსხვერპლი ხდება. კითხვა-პასუხზე დამყარებული სწავლება მას მარტოოდენ დანაკუწებულ ცოდნას აძლევს და თანაც წვრილმანებში შეუფერებლად ბევრ დროს აკარგვინებს. ფიზიკური აზრდაც ვერ არის ამერიკის სკოლებში კარგად დაყენებული. მაგრამ, მიუხედავად ამ ნაკლულევანებათა, ამერიკული სკოლა წარმოადგენს ცოცხალ სხეულს, რომლის შეუწყვეტელი განვითარება და წინმსვლელობა უზრუნველყოფილი არის. იქაურ სკოლებს ის დიდი ღირსება აქვთ, რომ დიდად ავითარებენ მოსწავლეთა ზნეობრივ კულტურას. ისინი ენერგიულ და მომქმედ წევრებს აძლევენ საზოგადოებას და ამხრივ იმდენი სიკეთე მიუძღვით სამშობლოს წინაშე, რომ ამით სრულებით იფარება მათი ნაკლულევანება.

ამერიკელი ქალიც, ამგვარ პირობებში აღზრდილი, არის ენერგიული, მტკიცე ხასიათის პატრონი, ცოდნის მოყვარე, იდეის ერთგული, გონიერი და სრულებით არა ჰგავს სხვა ქვეყნების ქალებს. ასე აღზრდილმა „ახალმა ქალმა“ მტრებიც ბლომად მოიპოვა, რომელნიც უწინასწარმეტყველებდნენ მას გადაგვარებას და მოსთქვამდნენ ოჯახის დარღვევას. მაგრამ არც ერთი ეს შიში არ გამართლებულა ნამდვილად, ხოლო ესა თუ ის კერძო შემთხვევები ზოგად მოვლენად ვერ ჩაითვლება.

ლუჩოლა

მიტინგები ინგლისში

(დასასრული*)

ყველასათვის, ვისაც სურს გაიგოს, თუ როგორ შემოდის სახელმწიფო ცვლილება იქ, სადაც სახელმწიფოს ყოველ წარმომადგენელს და თვით ხალხსაც კანონიერების გრძნობა ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს, მეტად საგულისხმოა ინგლისში საარჩევნო რეფორმის მსვლელობა. აქ ხალხი მიტინგების საშუალებით იბრძოდა ფართო საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად.

ხალხის წარმომადგენელობა წინედაც იყო შემოღებული ინგლისში, მაგრამ მაშინდელ საარჩევნო სისტემას ზოგიერთი ისეთი ნაკლი ჰქონდა, რომ ხალხის წარმომადგენლები ნამდვილად ვერ ახერხებდენ მოქმედებას ხალხის სურვილების მიხედვით. საარჩევნო ოლქები ისე იყო მოწყობილი, რომ ზოგიერთი პატარა სოფელი ორს ან სამს წარმომადგენელს ირჩევდა და, სამაგიეროდ, ზოგიერთ დიდ ქალაქებსაც კი სრულებით არ ჰქონდა წარმომადგენელთა არჩევის უფლება. ეს პატარა სოფლები ეკონომიურად დამოკიდებული იყვენ ადგილობრივ დიდ მემამულეზე, რომელიც მათ აიძულებდა წინდაწინვე დასახელებულ კანდიდატის არჩევას. 1829 წელს ნიუკესტლის გერცოგმა თავის მამულიდან 587 მცხოვრები გადასახლა იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე კანდიდატის არჩევა გაბედეს.

დეპუტატებს ინგლისში შვიდი წლის ვადით ირჩევდენ. ამის გამო მათ ეკარგებოდათ კავშირი ამომრჩევლებთან და უფრო ეადვილებოდათ პარლამენტში მთავრობის და მინისტრების გავლენით მოქმედება.

ამ ორ ნაკლის თავიდან ასაცილებლად ინგლისში მოძრაობა დაიწყო. საყოველთაო საარჩევნო უფლება, წარმომადგენელთა ყოველწლიურად არჩევა, — ამას ითხოვდენ ისინი, ვისაც არსებული საარჩევნო უფლების უსამართლობა ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული და ვინც არ ცდილობდა ან ვერ ახერხებდა ამ უსამართლობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას.

საარჩევნო რეფორმების მისაღწევად რამდენიმე კავშირი შესდგა, ამათში უფრო ცნობილი იყო „ურთიერთობათა ინგლისის საზოგადოება“ და „ხალხის მეგობართა საზოგადოება“ ამ საზოგადოებათა გავლენა მეტად ძლიერი იყო. ისინი ცდილობდენ ხალხის გონებრივად განვითარებას, მასში ზნეობრივ სიფაქიზის განმტკიცებას და საზოგადო საქმეებისადმი ყურადღების მიპყრობას. მოქმედება მათ უკვე მეთვრამეტე საუკუნის დამლევს დაიწყეს. 1793 წელს, მაგ., მოწვეულ იქმნა რამდენიმე მიტინგი, რომელთაც მრავალი შესაფერი პეტიციაც შეიმუშავეს. ამ მიტინგებზე, სხვათა შორის, გადაწყვიტეს, რომ ხალხმა თხოვნით არ უნდა მიმართოს მთავრობას, პირიქით, მან გადაჭრით უნდა მოითხოვოს ყველა ის უფლება, რომელიც მას ეკუთვნის სახელმწიფოში., უნდა მოითხოვოს ისე მტკიცედ, რომ მთავრობამ და გაბატონებულმა წრეებმა უარის თქმა ვერ გაბედონ.

რაკი საყოველთაო საარჩევნო უფლება არ არსებობდა, ხსენებულმა საზოგადოებებმა განიზრახეს ისეთ კონვენტის შეკრება, რომლის წევრებიც ინგლისის ყველა კუთხეში, კერძოდ და არა ოფიციალურად, იქმნებოდენ ხალხისგან არჩეული საყოველთაო კენჭის ყრით. მაგრამ მთავრობამ ასეთი განზრახვა აჯანყების სახელით მონათლა და დაატუსაღა მოძრაობის უფრო გამოჩენილი პირები — გარდი, ტელუალი, ტუკი და იორკი. მთავრობას მათი ჩამოხრჩობა უნდოდა, მაგრამ ინგლისში სასამართლო მთავრობის ხელში არ არის. მსაჯულებს იქ ხალხი ირჩევს, ეს მსაჯულები არავისზე დამოკიდებული არ არიან და საქმეს თავის სინიდისის მიხედვით არკვევენ. ამ სასამართლომ ყველა დატუსაღებული უდანაშაულოდ სცნო და გაანთავისუფლა.

ამ განთავისუფლებამ, რასაკვირველია, გაამხნევა ხალხის მეთაურები და მიტინგებიც გახშირდა. ისლინგტონის ახლოს ერთ მიტინგზე 150.000 კაცი შეგროვდა. ორატორებისათვის სამი ტრიბუნა იყო გამზადებული. ამ მიტინგზე ხალხმა გადაწყვიტა, რომ სისხლსაც დაღვრიდა სასურველ რეფორმების მისაღებად. „ჩვენ არეულობის მომხრენი არა ვართ, — ამბობდენ ამ მიტინგზე. — მაგრამ ისინი, ვისაც აბარია ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, გულგრილად შესცქერიან ჩვენს უბედურებას. გორს მოვიდენ, სანამ გვიან არ არის! გაიხსენონ, თუ რა საშინელი შედეგი მოჰყვება მათ მოქმედებას! ჩვენ რეფორმებს ვითხოვთ, და თუ ვერ მივიღეთ ეს რეფორმები, მაშინ შეურაცხყოფილ გრძნობის გაჩერება არ შეგვეძლება“.

მთავრობა ხედავდა, რომ ამ მიტინგების საშუალებით მოძრაობა თანდათან ვრცელდებოდა ინგლისში. მაგრამ მიტინგების აკრძალვა მას არ შეეძლო, კანონის ძალით ინგლისში ყველას აქვს უფლება შეიკრიბოს და თავისუფლად ილაპარაკოს. აკრძალულია ინგლისში მხოლოდ ისეთი კრებები, რომლებსაც მიზნად აქვს არსებულ სახელმწიფო წყობილების შეიარაღებულ ძალით დამხობა, და მთავრობამაც ამ კანონით ისარგებლა და, როდესაც ერთხელ მეფის ეტლს ვიღამაც ქვა ესროლა, ეს შემთხვევა მოიმიზეზა და გამოაცხადა, ამაში ბრალი ედება მიტინგებს, მიტინგები უნდა აიკრძალოსო. მართლაც, პარლამენტმა სამი წლის ვადით გადაწყვიტა, რომ იმ მიტინგისათვის, რომელსაც 50 კაცზე მეტი დაესწრება, ადმინისტრაციის განსაკუთრებული ნებართვა საჭირო არისო.

*) იხ. „ივერია“ № 7.

მაგრამ ინგლისის ხალხი მიტინგების უფლებას ასე ადვილად ვერ დასთმობდა. ამ გადაწყვეტილებამ ისეთი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ მთავრობა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ქვედა პალატაში დეპუტატი ფოქსი აცხადებდა: „ხალხს თავის აზრის გამოთქმისათვის კანონიერი უფლება თუ წაართვით, ჩვენში ამით ან მონობას შეჰქმნით ან რევოლუციას გამოიწვევთო“. მაგრამ მაინც გაბატონებულ კლასებში იმოდენად ძლიერი იყო გაბატონების სურვილი, მათ ისე უძნელდებოდათ საარჩევნო რეფორმის შემოღებით ხელის აღება არსებულ უპირატესობაზე, რომ 1795 წ. მიტინგების საწინააღმდეგო კანონი დამტკიცებული შეიქმნა.

ხალხი დროებით გაჩერდა. მის სიჩუმეს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ სწორედ ამ დროს ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებაში ძირითადი ცვლილება ხდებოდა. მანქანების შემოღებამ წარმოების უწინდელი წესი მოსპო და ულმობლად [sic: ულუკმაპუროდ] დასტოვა ყველა ის წვრილი ხელოსანი და შინადმრეწველი, რომელიც წინეთ თავს ირჩენდა ამ წარმოებით. ეკონომიურად დაცემული ხალხი დროებით გვერდს უხვევდა პოლიტიკურ ცხოვრებას და 1815 წლამდის ყურადღებას არ აქცევდა თავის უუფლებობას.

დაკარგულ უფლების დასაბრუნებლად ბრძოლა ხალხმა 1815 წელს ისევ დაიწყო. შესდგა ახალი კავშირები, რომელთაც გემიდენის კლუბები დაერქვა,—ამ კლუბებმა იკისრეს საარჩევნო რეფორმის მეთაურობა. ამავე წელიწადს საუფოლქში არეულობა მოხდა, ხალხს მოჰქონდა დროშა, რომელსაც ეწერა „პური ან სისხლი!“ ნარფოლკში ხალხი ქარხნებს და პურის დუქნებს დაეცა. კუნძულ ელზე ჯარის გამოწვევა შეიქმნა საჭირო, და იმ დროს, როდესაც ხალხი პურის გულისათვის სიკვდილს და ავაზაკობასაც არ ერიდებოდა, სამეფო გვარეულობის ერთი ქალი მისთხოვდა გერმანიის პრინცს და პარლამენტმა მას 600, 000 მანეთი მისცა მზითვად და ყოველწლიურადაც ამდენივე დაუნიშნა. ამან სულ გააბრაზა ხალხი,—პარლამენტის გამოცვლა და ახალის, საყოველთაო კენჭის ყრით არჩეულის მოწვევა ყველასათვის სასურველი შეიქმნა. მიტინგები გახშირდა. 15 ნოემბერს, სპაფილდში, მიტინგზე პარქსი ეუბნებოდა ხალხს: „დრო დადგა, როდესაც ხალხმა უნდა ჰქმნას ყველაფერი, რაც შეუძლია, რომ ამნაირად შეირჩინოს თავისი პოლიტიკური უფლება.. ხალხი მართალია, მისი მტერი კი მშიშარა არის... ახლა უნდა დავამხოთ ძირს მტარვლები და, ხალხი თუ ერთობით დაადგა საქმეს, რეფორმების მოწინააღმდეგენი შიშისაგან აცახცახდებიან და ხალხის სურვილების წინაშე მუხლს მოიდრეკენო“.

2 დეკემბერს იქვე მეორე მიტინგი შეგროვდა. აქ ხალხის ერთმა ნაწილმა აჯანყების დაწყება გადასწყვიტა, მან რამდენიმე იარაღის დუქანი გაძარცვა და ლონდონისკენ წავიდა, მაგრამ ჯარმა ადვილად გაჰფანტა ისინი. მეორე ნაწილი კი ისევე მშვიდობიანად განაგრძობდა კრებას. ამისდამიუხედავად მთავრობამ მაინც გადასწყვიტა ხელახლად მოესპო მიტინგების თავისუფლება.

მაგრამ რამდენად უფრო ხშირ ცდილობდა მთავრობა არსებულ უფლებების მოსპობას, იმდენად უფრო მტკიცე და შეურყეველი ხდებოდა ხალხში მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულება.

1829-32 წწ. პოლიტიკურ კავშირების და მიტინგების მოქმედება ინგლისში სწორედ რომ საოცარი იყო. მიტინგები ისე ხშირად იკრიბებოდა, რომ გაზეთები მათ შესახებ უბრალო მოკლე ანგარიშის გადმოცემასაც ვერ ასწრებდნენ. „ხალხი სდუღს, წერდა ერთი იმ დროის გაზეთი, ყველგან იგივე სიტყვები ისმის: ახლა ან არასოდესო!“

და ამ აგიტაციის გავლენით საარჩევნო რეფორმის შესახები კანონპროექტი ქვედა პალატაში შეიტანეს 1831 წ. 1 მარტს ამ კანონპროექტის მიხედვით არსებულ საარჩევნო წესებში ბევრი ცვლილება შემოდიოდა, მაგ., ისპობოდა ის უთანასწორობა, რომელიც უკვე აღნიშნული გვაქვს და რომლის გამო ზოგიერთ პატარა სოფელს მეტი წარმომადგენელი ენიჭებოდა, ვიდრე დიდ ქალაქებს,—საყოველთაო საარჩევნო უფლება კი ამ ახალ კანონპროექტებშიაც არ იყო შემოტანილი, ის კლასები, რომელნიც სარგებლობდენ ახალ პროექტით,—მრეწველები და ვაჭრები,—ხალხს პირდებოდენ, საყოველთაო საარჩევნო უფლებას მაშინ შემოვიღებთ, როდესაც, ახალ კანონის ძალით, გავლენას მოვიპოვებთ პარლამენტშიო.

მართლაც ახალი პროექტი ქვედა პალატაში გავიდა, მაგრამ ზედა პალატამ გადაჭრით უარი განაცხადა მის დამტკიცებაზე. ამოდ იკრიბებოდა ხალხი მიტინგებზე და პეტიციების საშუალებით ზედა პალატას თავის სურვილს უმჟღავნებდა და შემდეგ უკმაყოფილებას და ზიზღსაც უცხადებდა ჯიუტობისთვის,—უპირატესობის დაკარგვა დიდ მემამულეებს იმდენად უძნელდებოდათ, რომ ყურს იყრუებდენ ყველაფერზე: 12 ოქტომბერს 300 ათას კაცისაგან შემდგარი მანიფესტაცია, 12 ნოემბრის დიადი მიტინგი, რომელსაც 50 ათასი კაცი დაესწრო, 20 ათასი კაცი, შეგროვილი ბირმინგიმსა და ედინბურგში, თვით ნიუკესტლის გერცოგის სასახლესი გადაწვა, ხალხის პირდაპირი შეტაკება პოლიციასთან,—ვერაფერმა ვერ გასტეხა ზედა პალატის წევრები. ბირმინგამში ისეთი მიტინგი შესდგა, რომლის მსგავსი არ ყოფილა წინეთ ინგლისში, რამოდენიმე ასმა ათასმა კაცმა თავი მოიყარა, თავისი დროშებით, მუსიკით და აფიცრებით... ამ მიტინგზე ხალხმა ერთმანეთს შეჰფიცა: „სიცოცხლეს და ცოლშვილსაც არ დავზოგავთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდო“.

ზედა პალატა მხოლოდ მაშინ დასთანხმდა კანონის დამტკიცებაზე, როდესაც მინისტრი გრეი დაემუქრა,—მეფე ისარგებლებს იმ უფლებით, რომელიც მას კანონით აქვს მინიჭებული და იმოდენ ახალ წევრს დაგინიშნავთ ზედა პალატაში, რომ ხმის უმეტესობა აღარ გქონდეთო...

ამნაირად, აქაც, მიტინგების საშუალებით, ხალხმა ნახევრად მაინც მოახერხა მიზნის მიღწევა და შესამჩნევად გააუმჯობესებინა ის საარჩევნო უფლება, რომელიც სახელმწიფოში რამოდენიმე მსხვილ მემამულეს აბატონებდა.

მიტინგებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კიდევ იმ მოძრაობაში, რომელსაც ჩარტისტების მოძრაობა დაერქვა. ამ მოძრაობას მიზნად ჰქონდა შემდეგ რეფორმების მიღწევა: საყოველთაო საარჩევნო უფლება, ყოველწლიური პარლამენტები, თანასწორი საარჩევნო ოლქები, ქონებრივ ცენზის მოსპობა, ფარული კენჭის ყრა და პარლამენტის წევრებისათვის ჯამაგირების დანიშვნა. ამ მოძრაობის უფრო ცნობილ მეთაურებად იყვენ ოკონნორი, ობრაინი, სტიფენსი, ოსტლერი, ატტვუდი და ლოვეტი.

ამათში ორი უკანასკნელი მშვიდობიანი რეფორმების მომხრე იყო, სტიფენსი და ოსტლერი ძალადობას, პირდაპირ შეტაკებას, სისხლის ღვრით საქმის გადაწყვეტას ურჩევდენ ხალხს; ოკონნორი და, ობრაინი კი ამბობდენ, ჯერ ყოველივე ზნეობრივ გავლენის საშუალება უნდა გამოვცადოთ და ძა-

ლადობას მხოლოდ მაშინ უნდა დავადგეთ, როდესაც დავრწმუნდებით, რომ სხვაფრივ მიზნის მიღწევა ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელი არისო. ჩარტისტების მოძრაობის დროს განსაკუთრებით გახშირდა პეტიციები, რომელთაც მრავალი ადამიანი აწერდა ხელს. 1839 წ. 14 ივნისს, მაგ., ატტვუდმა პარლამენტში შეიტანა პეტიცია, რომელზედაც 1.283,000 კაცს ეწერა ხელი. 1842 წ. 2 მაისს, ოკონნორმა წარადგინა პეტიცია, რომელსაც ხელს აწერდა 3,315,712 ადამიანი. 1848 წელს 10 აპრილს კიდევ ერთი პეტიცია იქმნა წარდგენილი და ამ პეტიციაზე 5.700.000 კაცის ხელის მოწერა იყო.

ჩარტისტებმა მიზანს ვერ მიაღწევს და რეფორმები ვერ შემოიღეს, მაგრამ მათ მოძრაობას ინგლისელ ხალხის განვითარებაში მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მან განავითარა ინგლისის მუშა ხალხი, შეაჩვია შეგნებულად და ერთობით დასახულ მიზნისთვის ბრძოლას. ამ მოძრაობის მნიშვნელობა იმაშიაც გამოიხატა, რომ პარლამენტმა რამდენიმედ მაინც მიაქცია ყურადღება სოციალურ კანონდებლობას.

აქ აღარ ჩამოვთვლით იმ მიტინგებს, რომელიც მიუხდენიათ „ვაჭრობის თავისუფლების“ მომხრეთ იმ დროს, როდესაც ხორბლეულობაზე ბაჟების მოსპობას ცდილობდენ როგორც მუშა ხალხი, ისე მრეწველ-ვაჭრებიც. ამ ბაჟების შემოღების მომხრენი იყვენ მიწის მესაკუთრენი და მოიჯარადრენი. ამ ბრძოლამ 1836—1846 წ.წ. გასტანა. არ მოვიხსენიებთ დაწვრილებით აგრეთვე „უმუშავართა“ მიტინგებსაც, რომელთაც შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ და სოციალისტურ მოძრაობისთვის ნიადაგი მოამზადეს ინგლისში, თუმცა ორივე ამ მოძრაობაში მრავალი საინტერესო შემთხვევა იყო. 1887 წ. 13 ნოემბერს, მაგ., ხალხმა ტრაფილგარის მოედანზე ლონდონში განიზრახა დიდ მიტინგის მოწყობა, რომელსაც, ობრიენის დატუსაღების გამო, პროტესტი უნდა გამოეცხადებინა მთავრობისთვის. პოლიციამ აქ შეკრების ნება არ მისცა და ხალხს ნამდვილი შეტაკება, ნამდვილი ომი მოუვიდა, როგორც პოლიციასთან, ისე ჯარებთანაც... ამ მოძრაობაში ხალხი ისევ ძველ საშუალებებით იბრძვის. მიტინგებზე შეკრებილი აცხადებს თავის სურვილს, რომელიც ადრე თუ გვიან იმარჯვებს, რადგანაც მას თან და თან მეტი თანამგრძნობი უჩნდება და ბოლოს ეს სურვილი იმდენად საერთო ხდება, რომ მთავრობა იძულებული ხდება იგი მიიღოს თავისთვის სახელმძღვანელოდ.

მიტინგებზე საზოგადოების აზრი ირკვევა, მისი სურვილი ზნეობრივ გავლენას ახდენს მოწინააღმდეგეზე, იმორჩილებს მას, რადგანაც ხალხის ერთსულობას უჩვენეს და ხალხის ერთსულობას უჩვენებს და ხალხის ერთსულობის წინ ჩერდება ყოველი მოწინააღმდეგე, თუნდ ტყვიის მტყორცნელებით შეიარაღებულიც.

თვალი რომ გადავავლოთ ზემოთქმულს, დავინახავთ, რომ ინგლისში ყოველთვის ცდილობენ ყოველი ახალი აზრი ჯერ გაავრცელონ საზოგადოებაში, ხალხის უმატესობის სურვილად გახადონ და შემდეგ სავალდებულო კანონად შემოიღონ სახელმწიფოში. იქ არავინ არ ფიქრობს სხვებს ძალით მიაღებინოს თავისი ახალი აზრი, და ხშირად რამოდენიმე წელიწადი გადის, სანამ ეს აზრი იმდენად მოიდგამდეს ფეხს საზოგადოების ყველა ნაწილში, რომ საერთო სურვილის სახეს მიიღებს და კანონად შემოვა სახელმწიფოში. სწორედ ამიტომ იქ ყოველი ახალი ცვლილება სისხლის დაუღვრელად და საზოგადოების სხვა და სხვა კლასში უსარგებლო და ხელოვნურად გაზვიადებულ განხეთქილების ჩამოუგდებლად ხდება; სწორედ ამიტომ იქ დემოკრატიული პრინციპი უფრო მკვიდრია ცხოვრებაში, ვიდრე იმ დემოკრატიებში, სადაც ხალხის უმეტესობის სურვილს პატივს არა სცემენ; ამიტომაც ხალხის განვითარებას იქ ასეთი საღი ხასიათი აქვს.

ს. ქარ—ძე.

ᲒᲐᲚᲐᲢᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ

(იური გარდენინის წერილიდან)

(დასასრული*)

რევიზიონისტები თავის მხრივ ცდილობენ მოიყვანონ პირდაპირი და პოზიტიური დასაბუთება იმისა, რომ მარქსსა და ენგელსს გალატაკების თეორია აბსოლუტურად ესმოდათ და, მაშასადამე, ამ მუხლებშიაც მათი მსოფლმხედველობა ვერ ასცდა წინააღმდეგობასო.

კუნოვის წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკაში ბერნშტეინი ამ შემთხვევისთვის შემდეგს ალაგს სთვლის გადამწყვეტად. როდესაც მარქსი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტური წარმოება ერთს მხარეზე სიმდიდრეს აგროვებს, მეორეზე-კი—მასსათა სიღატაკეს, იგი აქ თანვე უმატებდა „დთრგუნვას, მონობას, გადაგვარებას, ექსპლოატაციასო“. რა გამოდის აქედან? კითხულობს ბერნშტეინი. ნუ თუ მუშის „გადაგვარებაც“ შედარებით უნდა გავიგოთ, ვითომ იგი ჩამორჩებოდეს უმაღლეს კლასთა რასის ფიზიკურსა და ფსიხიურ პროგრესს? ნუ თუ ასეთი ახსნა პიკვიკის კლუბის გმირთა სიმახვილეს არ დაემსგავსება?

გარნა კაუცკის ისტორიულ-ლიტერატურული ძიება აქარწყლებს ამ არგუმენტს. იგი გვიჩვენებს, რომ მარქსის ორიგინალში ყოფილა ხმარებული არა „გადაგვარება“ (Entartung, Вырождение), არამედ ბევრით უფრო ნაკლებად განსაზღვრული სიტყვა „დეგრადაცია“, რომელიც შესაძლებელ ჰყოფს „ფიზიოლოგიურის“ მაგიერ „სოციალურ“ განმარტებას და რომელიც უფრო სწორედ ითარგმნის სიტყვით «დამცირება» (Erniedriegung, Приниженіе). ტერმინების არასასურველი შეცვლა მოახდინა ენგელსმა პოპულარიზაციისათვის, რომ ბარბარიზმები წმინდა გერმანულ გამოთქმებით შეეცვალა. გავიხსენოთ, მაგალითად, რომ მარქსი „Misere de la philosophie“-ში, როცა იგი წვრილ ხელოსნების პროლეტართა რაზმში გადასვლას ეხება, სხვათა შორის, სწორედ ამ ტერმინებს ხმარობს Degradieren, Erniedrigung. ამნაირად, ბერნშტეინის არგუმენტი ჰკარგავს გადამწყვეტ ხასიათს. ხოლო ფაქტი ფაქტად რჩება, რომ მარქსის უახლოესი მეგობარი, თანამშრომელი, მისი აზრების რწმუნებული შესაძლოდ სთვლიდა მუშათა კლასის დეგრადაცია გადაგვარების აზრით გამოეთქვა, და ამასთანავე იგივე ენგელსი სხვა შემთხვევებში გალატაკების თეორიის წინააღმდეგ სწერდა ხოლმე. ასე რომ ეს ფაქტი უკვე რამოდენიმედ არღვევს ორტოდოქსების რწმენას, ვითომ მხოლოდ ის ახსნა-განმარტება იყოს სწორი, რომელიც აქრობს მარქს-ენგელსის სხვა და სხვა ალაგების ერთიმეორის წინააღმდეგობას.

ესეც რომ არ იყოს, ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მთელი რიგი სხვა ადგილებისა, რომელიც ძირს უთხრის ორტოდოქსების პოზიციას. მაგალ., „კომმუნისტურ მანიფესტში“ ვკითხულობთ:

*) იხ. ივერია № 7.

„თანამედროვე მუშა... არა თუ არ იწევს მაღლა ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად, არამედ თავის საკუთარ კლასის მოთხოვნილებათა საზღვრების ქვევით და ქვევით იწევს. მუშა იქცევა ღატაკად, და სიღატაკე იზრდება კიდევ უფრო, ვიდრე მცხოვრებნი და სიმდიდრე“.

აქედან ნათლად სჩანს, რომ აქ სიღატაკე აბსოლუტურადაა აღებული. თუ რომ „სიღატაკე“ შედარებით „სიმდიდრესთან“ ყოფილიყო აღებული, როგორც კორელატივი ცნებანი, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა იმის თქმა, ვითომ სიღატაკე უფრო მსწრაფლ იზრდება, ვიდრე სიმდიდრეო; სიღატაკეს შეგვიძლია მივაწეროთ დამოუკიდებელი ტემპი განვითარებისა მხოლოდ მაშინ, როცა მას ავიღებთ შეუდარებლად, როგორც სიმდიდრესთან შედარებისაგან დამოუკიდებელ ცნებას. აქ არ არის ნათქვამი არც ის, ვითომ კეთილდღეობის ზრდა უკან რჩებოდეს მოთხოვნილებათა ზრდას: აქ გამოთქმულია, რომ ვითომ კეთილდღეობა კლასის საზღვრებრივ მოხთოვნილებათა ხაზის ქვევით მიდიოდეს. აქ ჩვენ სრულს ძალაში ვხედავთ სწორედ „სამუშაო ქირის რკინის კანონს“, რომლის წინააღმდეგ მარქსმა შემდეგში გამოილაშქრა.

„Klassenkämpfe in Frankrlich“-ში ვკითხულობთ (გვ. 40): 1848 წლის ამბებმა პროლეტარიატი დაარწმუნეს „იმ ქეშმარიტებაში, რომ მისი მდგომარეობის სულ მცირედი გაუმჯობესებაც კი უტოპიად რჩება ბურჟუაზიულ რესპუბლიკის საზღვრებში, უტოპიად, რომელიც მაშინვე დანაშაულობაში გადადის, როგორც კი იწყებს ცხოვრებაში განხორციელებას“, ესეც ხომ „რკინის კანონის“ შეხედულებაა!..

რევიზიონისტებს შეეძლოთ კიდევ ეჩვენებიათ, რომ იგივე ენგელსი, რომელიც 90 წლების დასაწყისში თავისთავად გასაგებად სთვლიდა, რომ მუშათა კლასის მდგომარეობას შეუძლია თანამედროვე საზოგადოების ჩარჩოებში მაღლა აიწიოს და კიდეც იწევს, თუ კი იგი საკმაოდ გამოიჩენს აქტივურ მოქმედებას, იგივე ენგელსი 70 წლებში სწერდა:

„რომ კაპიტალისტურ წარმოების მსხვილ მასშტაბით განვითარება შემდეგ მუშათა კლასის მდგომარეობა საერთოდ გაუარესდა, ამაში ეჭვის შეტანა მხოლოდ ბურჟუას შეუძლიაო“.

მოვიყვანთ კიდევ ერთს ტიტატას, რომლითაც რევიზიონისტებს რაღაც მიზეზის გამო არ უსარგებლიათ· „Lohnarbeit und Kapital-“ში არის შემდეგი დასკვნა კაპიტალისტურ საზოგადოების ვითარების ანალიზისა:

„რამდენად მეტად იზრდება მწარმოებელი კაპიტალი, იმდენად მეტად ვითარდება შრომის განაწილება და მანქანათა გამოყენება; რამდენად მეტად ვითარდება შრომის განაწილება და მანქანათა გამოყენება· იმდენად უფრო ძლიერი ხდება მუშათა შორის კონკურენცია იმდენად მეტად კლებულობს მათი სამუშაო ქირა. ამასთან მუშათა კლასი საზოგადოების შეძლებულ წრეებიდანაც გროვდება: პროლეტართა რაზმში გადადის მასსა წვრილ მწარმოებელთა და წვრილ ფულის პატრონთა, რომელნიც იძულებული ხდებიან, მუშებთან ერთად გაიტანონ გაზარზე თავისი სამუშაო ძალა. ამნაირად, სამუშაოს მძებნელ ხელთა ტყე უფრო და უფრო სქელდება, თვით ხელები კი უფრო და უფრო ჭკნებიან“.

მე მგონია, რომ ეს ციტატა არის გადამწყვეტი და თვით კაუცკი მთელ მის დიალექტიკურ ინტერპრეტაციის ხელოვნებით ვერ შესძლებს დაამტკიცოს, ვითომ უკანასკნელ ფრაზაში სიღარიბე იყოს აღებული არა „ფიზიოლოგიურ“, არამედ „სოციალ-რელატივურ“ მნიშვნელობით.

გარნა, ნიშნავს კი ეს იმას, ვითომ რევიზიონისტები მართალნი იყვნენ და ორტოდოქსები უმართლონი? მე ვამტკიცებ, რომ არა! ორტოდოქსები არ არიან მართალნი, რამდენადაც ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, ვითომ მარქსი და ენგელსი არასოდეს არ მდგარიყვენ „გაღატაკების თეორიაზე“ აბსოლუტურ მნიშვნელობით. ჩვენ კი ვიცით, რომ მარქსი და ენგელსი თავის ლიტერატურულ მოღვაწეობის დასაწყისში უეჭველად ამ შეხედულებას იკავდენ. ისინი ადევნებდენ თვალ-ყურს კაპიტალიზმის განვითარების იმ სტადიას, სადაც ნამდვილად შესაძლო იყო ფაქტად აღიარება აბსოლუტურ გაღატაკებისა, ამ სიტყვის „ფიზიოლოგიურ“ მნიშვნელობით, და ამ გარემოებამ შეიყვანა ისინი ჩვეულებრივ შეცდომაში. როდესაც ადამიანი თვალყურს ადევნებს განსაზღვრულ პერიოდის განმავლობაში ერთსა და იმავე მხარისკენ მიმართულ ცვლილებათა რიგს, მისი გონება მაშინ ამ განვითარების ტენდენციას ბუნებრივ აგრძელებს გაზრებით მის მაქსიმალ ლოღიკურ საზღვრამდე და ხდის მას ევოლუციის „ზოგად კანონად“. ეს ხომ უბრალო გამოყენებაა გონების ჩვეულებრივ თვისებისა— სკვნა ცნობილიდან არცნობილამდე!.. უბედურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ამასთან ხშირად დროებითი გარდამავალი და ვიწრო ჩარჩოებით შეზღუდული მოვლენანი უკანონოდ ზოგადდებიან და აზრით ვრცელდებიან განუსაზღვრელ ფართო მოვლენათა წრეებზე, „უნივერსალდებიან“, იღებენ იმ ყოველშემცველ ხასიათს, რომელიც მათ ნამდვილად არ აქვთ. რამდენად მარქსი და ენგელსი თავის დროს ხელში უვარდებოდენ ხოლმე ამ აბერრაციას, ამას გვიჩვენებს თუ გინდ უკანასკნელის სტატია ინგლისის ათსაათიან სამუშაო ბილლის შესახებ. თუმცა ენგელსი ამ ბილლს ინგლისელ მუშათა აუცილებელ ამღორძინებელ პირობად აღიარებდა, იგი მაინც იმას ამტკიცებდა, რომ პროლეტარიატის რევოლუციამდე ამ ბილლის გაყვანა რეაქციონურიც იქნება და შეუძლებელიცო; მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციის შემდეგ ეს ზომა, სხვა რადიკალ ზომებთან ერთად, შეიძლება გახდეს რევოლუციონურ ზომადაც და შესაძლებელ ზომადაცო. ამრიგად, გაღატაკების თეორია მის აბსოლუტურ ფორმაში ამბობდა: სოციალურ რევოლუციამდე არავითარ ზომას არ შეუძლია შეაფერხოს სისტემატიური გაუარესება მუშათა კლასის მდგომარეობისა, იგი სულ ქვევით და ქვევით დაეფლება სიღატაკის ჭაობში; მაგრამ რამდენად უარესი—მით უკეთესი! გაღატაკებული, დათრგუნვილი, გადაგვარებისკენ მიმართული მუშათა კლასი სოციალურ რევოლუციაში ნახავს ერთად ერთს საშუალებას, რომლის გარეშე არ არის არა თუ სრული, არამედ ნაწილ-ნაწილი გაუმჯობესებაც-კი.. და აი, კიდეც განხორციელდება დიალექტიკური თვითუარყოფა კაპიტალიზმისა, უმაღლეს, ლოღიკურ საზღვრამდე აყვანილი სოციალური უსამართლობა მიიყვანს უმაღლესს სოციალურ სამართლიანობის განხორციელებამდე.

შემდეგში ამ შეხედულებას, უეჭველად ძლიერ განმარტოვებულს, სტოვებდენ, როგორც თვით მარქსი და ენგელსი, ისე მათი მომხრენიც. თუ რომ ორტოდოქსები სცდებიან, ცდილობენ-რა ჩაფუჩეჩონ ამ შეხედულების არსებობა მათ მასწავლებელთა ლიტერატურულ მოღვაწეობის დასაწყისში, რევიზონისტები მიმართავენ ხოლმე per fas et nefas მეორე მხრისკენ გადაწევას, ცდილობენ-რა დაამტკიცონ, ვითომ მარქსი და ენგელსი უოველთვის იკავდენ „გაღატაკების თეორიას“,

და, რადგან მარქსმა და ენგელსმა მიატოვეს ძველი შეხედულება და მიიღეს ახალი, თუმცა ამასთანავე მემკვიდრეობით შეისისხლხორცეს პირვე პერიოდიდან ზოგიერთი ნაშთები (пережитки) ბუნდოვან და განუსაზღვრელ ფორმულათა სახით, ამიტომ რევიზიონისტები ეკიდებიან ამ ფორმულებს და ცდილობენ შეიტანონ მათში ეს მნიშვნელობა, რომელიც კაი ხანია გაფრინდა, ორთქლად იქც , დასტოვა-რა თავის შემდეგ მხოლოდ სიტყვიერი ფორმები უთანაბრო შინაარსით. მაგრამ მათი მისწრაფება – დაამტკიცონ, ვითომ მარქსი „კაპიტალშიაც“ სიღატაკეს აბსოლუტურ და არა რელატიურ მნიშვნელობით იღებდა,—ეს მისწრაფება ¦რულიად უსაფუძვლოა. მართალია, ორტოდოქსებმა—როგორც უკვე მოვიხსენე—ვერ გამონახეს ვერც ერთი ადგილი, სადაც მარქსს თვითონ გამოეხსნას ამ ცნებათა „სოციალური“, „რელატიური“ შინაარსი, მაგრამ – უნდა დავუმატო ეხლა მ თ ვერ მონახეს ვერც ერთი ამგვარი ალაგი ¦რა იმიტომ, რომ იგი არ იყო, არამედ იმიტომ, რომ ცუდად სძებნიდენ. იმ ალაგს, სადაც მარქსი სწერს „სიღარიბის, დათრგუნვის, ექსპლოატაციის და სხ. დაგროვებაზე“, იგი მას წინ უმძღვარებს ერთს ძლიერ მნიშვნელოვან ალაგს, რომელიც ხსნის ამ ტერმინთა „თუობითს“, „რელატიურ“ ხასიათს. იგი არჩევს გლადსტონის სიტყვას ბიუჯეტის შესახებ, სადაც გლადსტონმა ფაქტად აღიარა „დამათრობელი მომატება სიმდიდრისა და ძალისა“, რომელიც წილად ხვდება „შეძლებულ კლასებს“. იმ დროს, როცა მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდენ,— ამბომდა გლადსტონი,—ღარიბნი შეიქმნენ ნაკლებ ღარიბებად; მაგრამ მე ¦რ ვამბობ გადაჭრით რომ სიღატაკის უკიდურესობანი იშვიათ მოვლენად გახდენ“. და მარქსი თავის მხრივ დასძენს:

„რა სუსტია მეორე ნაწილი ამ პერიოდისა! თუ რომ მუშათა კლასი დარჩა „ღარიბი“, მხოლოდ „ნაკლებ ღარიბი“, რამდენადაც იგი შეძლებულ კლასთათვის „სიმდიდრისა და ძალის დამათრობელ მომატებას“ ჰქმნიდა, მაშინ, შედარებით იგი იმდენადვე ღარიბი დარჩა, როგორიც იყო წინეთ. თუ რომ სიღატაკის უკიდურესობათ არ მოუკლიათ, მაშინ მათ უმატნიათ, რადგან სიმდიდრის უკიდურესობამ იმატა“.

ჩვენ არა გვაქვს არავითარი მიზეზი პირში ქაფმოყენებული ვიცავდეთ მარქსის უცოდველობას, როგორც ეს ემართებათ ზოგიერთ ორტოდოქს-ფეტიშისტებს; მეორე მხრივ, არა გვაქვს არც ის წვრილმანი კილში ჩადგომის სურვილი, რომელსაც იჩენენ რევიზიონისტები; ჩვენთვის არ არის საჭირო არც აქეთ და არც იქითა მხა ეს გადაჭიმული ახსნა-განმარტებანი. მარქს-ენგლესის შეხედულებანი ვითარდებოდენ. მიმართულება ამ ევოლუციისა სწორი იყო. ჩვენ დაგვრჩენი , გავყვეთ მას თან ¦ათანობით და ამას შევასრულებ, თუ გადვისვრით ამ ფარმელებიდან მას, რაც წარმოადგენს წინა ეპოქის გარეგანს ნაშთს, თუ არ ჩავასხამთ ბუნდოვან განმარტებით ახალ ღვინოს ძველ ტიკში და პირიქით, თუ ყოველთვის მივესწრაფებით ხოლმე—შევქმნათ ნამდვილი ჰარმონია სიტყვიერ ფორმისა და იდეურ შინაარსისა.

რომ აქ შესწორება საჭიროა, ამის დანახვა ადვილია ერთს კონკრეტულ მაგალითზე. ის, რასაც ბერნშტეინი მარქსის შეხედულებაში „გაღატაკების თეორიას“ უწოდებს,—ამბობს კაუცკი,—თუ სისწორით გავიგებთ, „არავითარ შემთხვევაში არ უარჰყოფს მას, რომ წილი ნაციონალურ სიმდიდრის ზედატისა მუშათა კლასებს ხვდებათ“. „კაპიტალში“ კი მარქსი არა ერთხელ აღიარებს, რომ ყველა ნაყოფი ამ ეკონომიურ ზრდისა და გარდაქმნისა „ისაკუთრების კაპიტალისტთა მიერ“. ესეც არ იყოს, თვითონ კაუცკიმ შეიტანა ერფურტის პროგრამაში შემდეგი ალაგი: „ხოლო ნაყოფი გარდაქმნისა ისაკუთრების კაპიტალისტთა და მიწათმფლობელთა მიერო“.

ბ. ბ.

შემოწირულება

განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს საქართველოში დაზარალებულთა დამხმარე ფონდის სასარგებლოდ მივიღეთ ალუპკიდან ბესარიონ თალაკვაძისაგან 25 მან.

რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ̃-დი პავლე ი. თუმანიშვილი.

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში

დღეს, 23 აპრილს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება. ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით:

ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მოქმედებად გუცკოვისა თარგ. ი. ბაქრაძისა

მონაწილეობას იღებენ: ქბ-ნი დ. ივანიძე, მ. მდივანი, ბ-ნნი: ვ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, შ. დადიანი, ზ. საფაროვი, შალიკაშვილი. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. შეგირდებისათვის ადგილები ბალკონზე 40 კაპეიკი.—მზადდება წარმოსადგენად მუშა ტურაზერ.

ანონსი: ოთხშაბათს, 26 აპრილს წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესები „ხალხი“ — „კოხტა კაცი“.

ადმინისტრატორი ვ. გუნია. – რეჟისორი ვ ალექსი მესხიშვილი.

მოითხოვეთ ნამდვილი

„ოდოზრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.

იყიდება ტფილისში – საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლ.)

ახალი თხზულება გ გვაზავასი:

შალვა ოდიშელია

შინაარსი: საბერძნეთი, რიონის კიდე, ქუთაისი, ღამე ქალების სასწავლებელში, ღამე ქუთაისში, ღამე ვენეციაში, გონდოლა და სერენადა.

ფასი ერთი მან.

ისყიდება წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში. (2—2).

ელექტრო-მბეჭდავი წიგ. გამომც. ქართ. ამხ—ისა. ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372.